საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პაციტრა მედია

ლომი

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 ნოემბერი პარასკევი 2012 №284 (13 890) ფასი 80 თეთრი

ოქროს კარიერის გენერლები

მესი, ინიესტა, თუ რონალდო?

8

გულახდილი მილტონ ჰეიგი

ჰასი, ბიჭებო, ჰასი!

13

მანუს ბომბებმა ქიმიკოსები ვერ ააფეთქა

სკოლარი და პარეირა პენტაკამპეონებს გაწვრთნიან

ბრაზილიაში ძველები ახლიდან მოვიდნენ

6

გუშინ ევროპის მთავარ საკლუბო შეჯიბრებაში, ევროლიგაში ორმა ქართველმა ითამაშა. კანტუელი მანუჩარ მარკოიშვილი რუსეთში "ხიმკისთან" მატჩში ბომბარდირი გახდა – 16 ქულა მოაგროვა. მან-უმ 9-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. გარდა ამისა, მის ანგარიშზეა 4 მოხსნა, 2 ჰასი და 3 ჩაჭრა. რადგან გამთამაშებელ ჯონათან ტაბ-უს თამაში არ წაუვიდა, მწვრთნელმა პლეიმეიქერიბა მარკოიშვილს დაავალა და კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ მას სამ პოზიციაზე შეუძლია თანაბრად კარგად თამაში.
მისი გარჯა საფანადოდ არ დაფასდა – მეორე პერიოდში "ხიმკიმ" 21:7 იმარჯვა და მეორე ტაიმში უპირატესობა შეინარჩუნა. საბოლოოდ 77:53 რუსების სასარგებლოდ.

გაგრძელება ფე-16 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კლუბების შეხვედრა

პრემიერლიგა დაფუძნდა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზი საგანგებოდ მოამზადეს, მედია შეკრიბეს და ყველა კლუბების წარმომადგენლებს ელოდა – იმ ადამიანებს, რომლებმაც მცირე ხნის წინათ პრემიერლიგის დაფუძნების სურვილი გამოთქვეს.

მაგრამ კლუბების წარმომადგენლებს ჟურნალისტების დანახვა არ ესიამოვნათ და შეხვედრის დახურვა მოითხოვეს. ამისთვის სათადარიგო დარბაზი შესთავაზეს, რაც ასევე იუარეს და ბოლოს მინისტრის კაბინეტში დალაპარაკება გადაწყვიტეს.

თავის მხრივ, ჟურნალისტებსაც არ ესიამოვნათ კლუბების წარმომადგენელთა შეხვედრების გაუგებარი მიზეზით გასაიდუმლოება და უაზრო ლოდინი. თანაც, ეს პირველად არ ხდება და შეხვედრის დასრულებამდე ტერიტორიას მედიაც გაეცალა.

12-თა საბჭოსა და ლევან ყიფიანის შეხვედრას მხოლოდ "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია არ ესწრებოდა, რომელმაც თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

საერთოდ, პრემიერლიგის წარმატებული საქმიანობა მედიასთან ურთიერთობის ხარისხზეა დამოკიდებული და ამდენად, გაუგებარია, ასე რას უმალავენ პოტენციურ პარტნიორებს, ანუ მედიას? მაინც არაფერი იმალება.

ასე, მაგალითად, ვიცით, რომ შეხვედრაზე, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, იყო ლაპარაკი ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე, რომლისთვისაც აუცილებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა.

პრემიერლიგა კი, რაც უნდა უცნაური იყოს, ერთი კვირის წინ 6 კლუბის შეთანხმების საფუძველზე დაფუძნდა. ჯერ მისი პრეზენტაცია არ შემდგარა და პრემიერლიგა არც მიმდინარე სეზონის ორგანიზატორი იქნება. მას რამდენიმე კლუბი უნდა შეუერთდეს, მაგალითად, ბათუმის "დინამო", რომელიც ორგანიზაცია ბათუმის საკრებულოს ნებართვის გარეშე ვერ წევრდება. პროგრამის შესამუშავებლად, მუშაჯგუფები შეიქმნება და ახალი სეზონისთვის, როდესაც სპონსორების მოზიდვას იმედოვნებენ, აპირებენ ჩემპიონატის ორგანიზებას.

ამავე დროს განიხილეს საკითხი, თუ რა ოდენობით შუეძლია სამინისტროს პრემიერლიგი ფინანსური დახმარება. თუმცა, ეს მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე იქნება დამოკიდებული.

● ევროპაში

მერაბ ჟორდანიას ამბიციური გეგმები

აბრამოვიჩი: ვიტესის პრეზიდენტის ლონდონელი მრჩეველი

"მოსკოვსკი ნოვოსტიმ" მერაბ ჟორდანიას არნემის "ვიტესს" წერილი მიუძღვნა.

"ჩვენ მაფიას გვეძახდნენ, თანაც რუსულს". "ვიტესი" ახალ მეპატრონეებს მძიმე მდგომარეობაში დახვდა. ამის მიუხედავად, მერაბ ჟორდანიამ და ერვინ კაზაკოვსკიმ გუნდი ჩაძირვას გადაარჩინეს, ახლა კი მისგან ნამდვილი საბრძოლო გემი ჩამოაყალიბეს.

საფეხბურთო ევროპა უკვე შეეჩვია რუსეთისა და მისი მიმდებარე ქვეყნებიდან მდიდარი ბიზნესმენების დაინტერესებას: შოტლანდიური "ჰარტსი" ლიტველმა ვლადიმერ რომანოვმა შეიძინა, შვეიცარიული "ქსამაქსი" – ჩეჩენმა ბულატ ჩაგაევმა, ჰოლანდიაში კი "ვიტესს" რუსულ კლუბს უწოდებენ. მას ქართველი ბიზნესმენი მერაბ ჟორდანია ფლობს... ის ცდილობს, დაამტკიცოს, რომ სპორტული და ფინანსური წარმატების მიღნევა აღმოსავლეთევროპელ ბიზნესმენსაც შეუძლია და "რუსულ მაფიაზე" მითებს ამსხვრევს.

... საქართველოს ნაკრებში უცხოელ სპეციალისტთა ჩაყვანას სწორედ ამ კავკასიური ქვეყნის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ჟორდანიამ დაუდო სათავე. ის პოსტიდან სკანდალით წავიდა – დაკავებული იყო გადასახადების დამალვისა და სახსრების არამიზნობრივად გამოყენების ბრალდებით.

რეაბილიტაცია რამდენიმე წლის წინ სცადა, როდესაც საფეხბურთო აგენტ და ძველ მეგობარ ერვინ კაზაკოვსკისთან ერთად არნემული კლუბი შეისყიდა. "ვიტესმა" მათი ყურადღება დავალიანებით, კარგი სტადიონითა და მცირე სახელფასო ფონდით მიიქცია. ამას გარდა, ჰოლანდია იმ იშვიათ ქვეყნებს განეკუთვნება, სადაც შეიძლება, რომ კლუბს ერთი მეპატრონე ჰყავდეს. "ალკმაარზე" ჟორდანიამ უარი თქვა, რადგან ახალი გუნდის ნულიდან ჩამოყალიბება სურდა და არა ძველი მოთამაშეების გაყიდვით დასაქმება.

... კლუბის სტადიონს, "გელრედომს" შეარქვეს "ჰოლივუდი რეინზე". იქ იმ მუსიკოსების ფოტოებია განთავსებული, რომლებსაც არნემის სტადიონზე კონცერტი ჩაუტარებიათ: მადონა, პოლ მაკარტნი, რამშტაინი, ბონ ჯოვი...

ერვინ კაზაკოვსკი გაუგებარი ეროვნების პიროვნებაა. დაიბადა დუშანბეში, მჭიდრო კავშირშია საქართველოსთან და ცხოვრების უდიდესი ნაწილი გერმანიაში გაატარა. საკუთარ თავს გერმანელად მიიჩნევს, მაგრამ ნოსტალგია აქვს საბჭოეთის ყოფილ ქვეყნებზე.

კაზაკოვსკი "ვიტესის" შესყიდვის დეტალებს იხსენებს და გუნდის სამომავლო გეგმებზე ლაპარაკობს:

- თავიდან ჟორდანიას ჰოლანდიელები ფრთხილად მოეკიდნენ. ის ხომ ერედივიზიეს კლუბის პირველი უცხოელი მეპატრონე იყო. ადგილობრივ პრესაში ნეგატიური წერილები ჭარბობდა. ჩვენ გვიწოდებდნენ მაფიას, თანაც რუსულს! მაგრამ მალე ყველაფერი დალაგდა, საზოგადოებამ დაინახა, რომ მერაბს აინტერესებს ფეხბურთი და არა იოლი ფული. უპირველესად, მას სურს, ყველას დაუმტკიცოს, რომ კლუბის ნულიდან შექმნა შეუძლია და ბოლო 120 წელიწადის განმავლობაში პირველად ჩემპიონის ტიტული მოუპოვოს.

კლუბს სჭირდება ძლიერი საფუძველი, რათა წასულები ღირსეულებით შეცვალონ. მიმდინარე სეზონში "ვიტესი" ლიდერებში მყარად დამკვიდრდა, სტარტზე კი 9-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩაატარა, რაც კლუბის ისტორიაში პირველად მოხდა. არნემელები "ალკმაართან" წაგებამაც ვერ შეაფერხა და შემდეგ ტურში გასვლაზე "აიაქსი" დაამარცხეს.

მერაბ ჟორდანია

"ვიტესის" ფილოსოფია ფეხბურთელების აღზრდა და გაყიდვაა. კაზაკოვსკი ამაყობს კლუბის აკადემიის მუშაობით და იმითაც, მუდამ ახალგაზრდული ასაკის ერედივიზიეშიც კი, "ვიტესი" ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით რომ გამოირჩევა.

ბოლო ტრანსფერებიდან აღსანიშნავია მცველის, ალექსანდრე ბუტნერის "მანჩესტერში" გადასვლა, რომელშიც ჰოლანდიურმა კლუბმა 4,5 მილიონი ევრო მიიღო. უახლოეს პერიოდში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელის, თავდამსხმელის, ვილფრედ ბონის გაყიდვაა მოსალოდნელი. "ვიტესის" გენერალური დირექტორის თქმით, მისით ინგლისისა და რუსეთის კლუბები დაინტერესდნენ.

მაგრამ არნემში დიდი ფულის დახარჯვა არ უყვართ. "ქართული რევოლუციის" შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. მიუხედავად ამისა, კლუბის ყველაზე ძვირად ღირებულ შენაძენად დღემდე რჩება 2000 წელს "როდადან" ბელგიელი ბობ პიტერსის 6 მილიონ ევროდ გადაყვანა.

სამომავლოდ "ვარსკვლავების ფაბრიკა" უფრო ნაყოფიერი უნდა გახდეს: მიმდინარეობს კლუბის ბაზის მშენებლობა, რომელიც თებერვალში დასრულდება და ჰოლანდიაში საუკეთესო იქნება.

ადგილობრივმა არქიტექტორებმა მისი "ჩელსის" ბაზასთან მსგავსება შენიშნეს. ეს შემთხვევითი არ არის. ჟორდანია და აბრამოვიჩი ხომ დიდი ხნის მეგობრები არიან. ამბობენ, რომ ჩუკოტკის გუბერნატორმა "ვიტესის" შეძენა დააფინანსა. კაზაკოვსკი ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გაურბის:

"როგორც ვიცი, "ჩელსის" შეძენამდე რომან აბრამოვიჩმა კონსულტაციები ჟორდანიასთან გაიარა, მერაბი კი "ვიტესის" შეძენამდე მისი აზრით დაინტერესდა. მაგრამ ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მეგობრები ერთმანეთის აზრით დაინტერესდნენ" - ამბობს კაზაკოვსკი.

ამის მიუხედავად, კლუბებს შორის კავშირი არსებობს. "ვიტესის" შემადგენლობაში "ჩელსიდან" იჯარით დამატებული სამი ფეხბურთელია. ბევრი სხვა მოთამაშეებითაც არიან დაინტერესებული, მათ შორის, პოსტსაბჭოელებითაც. მაგალითად, გუნდში უკვე სამი ქართველია, მათ შორის, კაპიტანი გურამ კაშია.

მკაფიო სტრატეგია "ვიტესს" იმ რუსული კლუბების უმრავლესობისგან გამოარჩევს, რომლებიც დოტაციით არსებობენ. ამით გარკვეულწილად "კრასნოდარს" ჰგავს, მაგრამ არნემელთა მეპატრონეები ამჯობინებენ, რომ წარმატებებით მოსკოვის ცსკა-ს გაუტოლდნენ. მით უფრო, რომ მერაბ ჟორდანია ცსკა-ს პრეზიდენტ ევგენი გინერთან ახლობლობს. ხოლო ლონდონელი მრჩეველი გვაფიქრებინებს, რომ კლუბის ყველაზე ამბიციური გეგმები აუცილებლად განხორციელდება".

● U19 ელიტ რაუნდამდე

კახა კაჭარავა:

სამ ჯურნირში გვინვევენ

საქართველოს 19-ნლამდელთა ნაკრებმა ხორვატიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ციკლი წარმატებით დასძლია. **კახა კაჭარავას** გაწვრთნილებმა ტურნირი არადამაჯერებლად დაიწყეს: მასპინძელ ხორვატიასთან 0:2 დამარცხდნენ, აზერბაიჯანთან კი მხოლოდ ფრეს (1:1) დასჯერდნენ. ჯგუფიდან გასასვლელად, ბოლო ტურში საქართველოს ისლანდიასთან მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და საბედნიეროდ, **ბაჩო არაბულის** დუბლით 2:0 გაიმარჯვა და და ელიტრაუნდში გავიდა.

26 ნოემბერს შესარჩევი ციკლის ყველა ჯგუფური ტურნირები დასრულდა და ელიტ რაუნდის 25 მონაწილე, ანუ ჩვენი ყველა პოტენციური მეტოქე გამოვლინდა.

ჯგუფი 1: ავსტრია, ბულგარეთი
ჯგუფი 2: დანია, კვიპროსი
ჯგუფი 3: ჰოლანდია, პოლონეთი
ჯგუფი 4: ჩეხეთი, საბერძნეთი
ჯგუფი 5: გერმანია, ირლანდია
ჯგუფი 6: საფრანგეთი, პორტუგალია
ჯგუფი 7: ბელგია, იტალია
ჯგუფი 8: ბოსნია, ნორვეგია, სლოვაკეთი*
ჯგუფი 9: შოტლანდია, შვეიცარია
ჯგუფი 10: რუსეთი, შვედეთი
ჯგუფი 11: ხორვატია, საქართველო
ჯგუფი 12: ინგლისი, უკრაინა

* 8 ჯგუფში, პირველ-მეორე ადგილზე გასული ბოსნიისა და ნორვეგიის მსგავსად, სლოვაკეთმაც 6 ქულა დააგროვა, მაგრამ ბურთების უარესი სხვაობის გამო მესამე ადგილზე გავიდა. ამის მიუხედავად, ელიტრაუნდში მაინც მოხვდა, რადგან შესარჩევი ციკლის ჯგუფებში საუკეთესო მესამეადგილოსანი აღმოჩნდა.

ელიტრაუნდში დასახელებულ 25 გუნდს კიდევ სამი დაემატება: ამ ეტაპზე უკონკურსოდ მოხვდნენ ნინა გათამაშების ჩემპიონი ესპანეთი, აგრეთვე, სერბეთი და თურქეთი. ეს 28 გუნდი 7 ჯგუფში გადანაწილდება და ფინალური ეტაპის შვიდ მონაწილეს გაარკვევენ, სადაც მხოლოდ გამარჯვებულები მოხვდებიან. ევროპის ჩემპიონატს კი 2013 წლის 20 ივნისიდან 1-ელ აგვისტომდე ლიტვა უმასპინძლებს - თავად მასპინძელი ლიტვა ელიტრაუნდის გამარჯვებულებს ფინალურ სტადიაზე შეუერთდება.

ელიტრაუნდის ჯგუფების კენჭისყრა 5 დეკემბერს ნიონში გაიმართება და შვიდივე მინიტურნირის მასპინძლის ვინაობა გაირკვევა.

როგორ მოემზადება საქართველოს ნაკრები ტურნირისთვის, ამის შესახებ გუნდის მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** გველაპარაკა:

- გუნდი სად და როდის მოემზადება, ეს კენჭისყრის შედეგებზეა დამოკიდებული. შესაძლოა, ელიტ რაუნდს საქართველომ უმასპინძლოს. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციას ამის დიდი სურვილი აქვს და უეფას გადაწყვეტილებას დაველოდებით. უეფას პასუხზეა დამოკიდებული, მომზადების როგორ გეგმას შევადგენთ.

ელიტრაუნდის მატჩები მაისის პირველ რიცხვებში დაიწყება. ერთი შეხედვით, მოსამზადებლად დრო გვაქვს. მაგრამ სამწუხაროდ, ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული: მოთამაშეთა ნაწილი უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებში თამაშობენ, ზოგს უპრობლემოდ უშვებენ, მცირე ნაწილი კი ამას ვერ ახერხებს, რადგან ჩვენი კანდიდატები უკვე ძირითად შემადგენლობაში თამაშობენ, ან მთავარ გუნდში ვარჯიშობენ და კლუბებისაც მესმის. ასე რომ, ხელისშემშლელი მხოლოდ ეს შეიძლება გახდეს. თუმცა, კლუბები მაქსიმალურად ცდილობენ ნაკრების ინტერესების გათვალისწინებას. მაგალითად, მარტვილის "მერანიდან" ფონიავა და გეგეჭკორი რომ მივინვიეთ, კლუბმა ნაკრების ინტერესი საკუთარზე მაღლა დააყენა. მადლობა მეთქმის იმავე "დინამოს", "ბაიას", "ზესტაფონის", "ტორპედოს", "ლოკომოტივის" მისამართით.

კახა კაჭარავა

- რომელიმე ტურნირში მონაწილეობას თუ გეგმავთ?

- მინვევები გვაქვს კვიპროსის, პორტუგალიისა და ავსტრიის საერთაშორისო ოთხთა ტურნირებზე – ეს უკანასკნელი 22-30 მარტს გაიმართება. მაგრამ ორგანიზატორებს პასუხს კენჭისყრის შემდეგ ვეტყვით. იმ ტურნირზე არ ვითამაშებთ, სადაც ჩვენი რომელიმე მეტოქე იასპარეზებს.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

● საქართველოს ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა

ინტრიგა და უკომპრომისობა

ვიტ ჯორჯია-დინამო 1:1

ფოტო: www.fcdinamo.ge

ჩვენს ჩემპიონატს ინტრიგას და უკომპრომისობას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ და ეს გასულმა ტურმაც დაადასტურა. მოდი, ჯერ უკომპრომისობაზე ვთქვათ: ამ სეზონში მართლაც თვალში საცემია საყაიმო ანგარიშების ნაკლებობა და გამონაკლისი არც XVII ტური იყო (მხოლოდ ერთი ფრე, თანაც „როგორი“ დაფიქსირდა). სეზონის დაწყებიდან მსგავსი შემთხვევა არაერთხელ ყოფილა, ისეთი ტურებიც გვახსოვს, საერთოდ, არც ერთი ფრე რომ არ დაფიქსირებულა; გამონაკლისი (ანუ, „მშვიდობიანი“) კი VII ტური იყო, როცა ექვსიდან სამი მატჩი ფრედ დამთავრდა. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი უკომპრომისობა არც უნდა გვიკვირდეს: მეორე ეტაპზე ხომ ყველა გუნდს გადაჰყვება პირველ ეტაპზე მოგროვილი ქულები (თანაც, „სრულად“) და, წინა სეზონისგან განსხვავებით, ამჯერად, ფაქტობრივად, არც ყოფილა „საჭირო“ თუ „არასაჭირო“ თამაშები.

ახლა კი ინტრიგაზეც, მით უფრო, რომ გასული ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში სიტუაცია მართლაც დაიძაბა: თბილისის „დინამოსა“ და უახლოეს მდევარ „დილას“ შორის ქულათა სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა, საუკეთესოთა ექვსეულში მოსახვედრად მებრძოლმა „მეტალურგმა“ კი თავის კონკურენტებთან („ზესტაფონი“, „ზუგდიდი“) ჩამორჩენა, შესაბამისად, ხუთ და ექვს ქულამდე შეამცირა. ანუ, ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ პირველი ეტაპის ბოლომდე ორი მთავარი პასუხგაუცემელი კითხვაა დარჩენილი: რომელი გუნდი გახდება „ზამთრის ჩემპიონი“ და როგორ დაკომპლექტდება ზედა ექვსეული. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა: შემოდგომა-ზამთრის „მარათონული ეტაპი“ უკვე დაწყებულია და 2-დან 23 დეკემბრის ჩათვლით გუნდებს ხუთ-ხუთი მატჩის ჩატარება მოუწევთ. ახლა, მთავარია, უამინდობამ არ შეგვიშალოს ხელი, თორემ, აბა, გაიხსენეთ შარშანდელი „ბოლო ტურ“ ... ეროვნული „ტიტულის“ მოსაპოვებლად მებრძოლი ორივე გუნდის დარჩენილი მატჩების განრიგიც გვინდა შემოგთავაზოთ და დასკვნა თავად გამოიტანეთ: თბილისის „დინამოს“ უფრო ხელსაყრელი კალენდარი აქვს თუ გორის „დილას“...

2 დეკემბერი:	დინამო – ჩიხურა მეტალურგი – დილა
8 დეკემბერი:	სიონი – დინამო დილა – ტორპედო
12 დეკემბერი:	დინამო – ზუგდიდი დინამო (თბ) – დილა
16 დეკემბერი:	დინამო – მერანი დილა – კოლხეთი
23 დეკემბერი:	ზესტაფონი – დინამო მერანი – დილა

უხერხული მეტოქე

უმაღლეს ლიგაში „ვიტ ჯორჯია“ 1998 წლიდან ასპარეზობს და იქიდან მოყოლებული თბილისის „დინამოსთვის“ ყველაზე უხერხულ მეტოქედ იქცა. თავად განსაჯეთ: ამ 14 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (1998-99 წლების სეზონი) იყო, „დინამომ“ სეზონის ყველა დაპირისპირებაში რომ შეძლო „ვეტერინართა“ დამარცხება! საერთოდაც, ბოლო წლებია, რაც „დინამოს“ ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა გაიზარდა, თორემ 2010 წლამდე ამ მეტოქეთა შორის, ფაქტობრივად, აბსოლუტური თანაფარდობა იყო! მოკლედ, ბევრი მართლაც არ მოელოდა, რომ უშუალო კონკურენტ „დილასთან“ შთამბეჭდავი გამარჯვების (თანაც, მეტად და მეტად ხარისხიანი ფეხბურთის ფონზე) მერე „დინამო“ სადმე წაიფორხილებდა. მაგრამ, **მერაბ კოჭლაშვილის** დამოძღვრილი ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯია“ ხომ განსაკუთრებული მოტივაციით სწორედ... ფავორიტებთან თამაშობს და ასე მოხდა ამ ტურშიც. შეგახსენებთ, რომ „ვეტერინარებმა“ ამ სეზონში „დილასა“ და „მეტალურგს“ სტუმრად სძლიეს, „დინამოსთან“ ფრედ ითამაშეს და „ზესტაფონთანაც“ მატჩის ბოლო წუთზე, დრამატულ ბრძოლაში დამარცხდნენ. აქვე, ამ მატჩის მეგოლეებზეც ვთქვათ: 32 წლის **ჩისკოს** მართლაც ეფექტური გოლი აღარავის გვიკვირს, ანა, მასპინძელთა 23 წლის თავდამსხმელმა **ლაშა გაბრიჭიძემ** უმაღლეს ლიგაში თავისი მეორე გოლი გაიტანა. ისე, ამ შეხვედრის მსვლელობისასაც და მერეც დინამოელებს მსაჯობასთან დაკავშირებით „რამდენიმე“ კითხვა ჰქონდათ, მაგრამ ახალგაზრდა „ვეტერინართა“ გარჯას ყოველივე მაინც ვერ დააკნინებს.

საჭირო დასკვნა

მართლაც ძალიან ძნელია, როცა ზედიზედ 11 გამარჯვების მერე უშუალო კონკურენტთან დიდი ანგარიშით და უშანსოდ წააგებ, მაგრამ „დილამ“ მალე მოახერხა ამ ფსიქოლოგიური „შოკის“ დაძლევა და არცთუ იოლ შეხვედრაში ერთობ საჭირო სამი ქულა მოიპოვა. „დინამოსთან“ მარცხის შემდეგ „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დარასელიამ** ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე გადაადგილება მოახდინა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. აქვე, საინტერესო დეტალიც: საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, „დილამ“ საშინაო მატჩში რომ შეძლო „ზესტაფონის“ დამარცხება! ეგ კი არა, ამ გუნდებს შორის წინა სეზონამდე ჩატარებული ყველა მატჩი „ზესტაფონის“ გამარჯვებით სრულდებოდა და აი, გორელებმა შარშან და წლეულს ორ-ორჯერ მოგებით ეს ნავსი გატეხეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი 29 წლის ცენტრალურმა მცველმა **გიორგი ონიანმა** გაიტანა, რომელიც **ირაკლი მოდებაძესთან, გიორგი კახელიშვილთან** და... თანაამპლუელ **გულვერდ თომაშვილთან** ერთად „დილას“ საუკეთესო ბომბარდირია (ყველას — 3-3 გოლი აქვს გატანილი). სხვათა შორის, ონიანს „ზესტაფონის“ კარში გატანილი გოლი არც უზეიმია: „დილაში“ გამოსვლამდე ხომ სამი სეზონის განმავლობაში სწორედ ამ იმერული კლუბის ღირსებას იცავდა და ორჯერ საქართველოს ჩემპიონიც გახდა. აქვე, „ზესტაფონის“ დებიუტანტ მწვრთნელს **დავით მუჯირსაც** უნდა თანავუგრძნოთ: სამივე შეცვლა ხომ, ფაქტორივად, იძულებით გააკეთა, ამასთან 22 წლის ცენტრალური მცველის **გიორგი კაჭკაჭიშვილის** მართლაც „არასაჭირო“ გაძევებამაც გარკვეული გავლენა მოახდინა მატჩის საბოლოო შედეგზე.

ჩაძირული ზღვისპირეთი

17 ტურის მერე არც ერთი გამარჯვება და ზედიზედ 10 მარცხი — აი, ასეთია ფოთის „კოლხეთის“ „მონაგარი“ ამ სეზონში; ამას კი, არ დავმალავთ და, ძნელად წარმოიდგენდა ვინმე. თუმცა, რეალობას ვერ გავექცევით — უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი „სტაჟიანი“ გუნდი „გადამრჩენელ“ ადგილს უკვე 14 ქულით ჩამორჩება და ფაქტია, რომ „კოლხეთს“ სერიოზულზე-სერიოზული ბრძოლა მოუწევს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებისათვის. იმავეს თქმა შეიძლება შავიზღვისპირეთის კიდევ ერთ წარმომადგენელ ბათუმის „დინამოზე“, 1990-98 წლებში საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად რომ მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, ვერც ბათუმელები დაიკვეხნიან წარმატებული თამაშით და 9-მატჩიანი მოუგებელი სერიაც დაუგროვდათ...

ტურის მეგოლეები და სხვა...

ამ სეზონის ნამდვილმა აღმოჩენამ „ჩიხურამ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვია! გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილი გუნდი მართლაც სამართლიანად იმყოფება მესამე ადგილზე და ზედა ექვსეულში მოხვედრა, ფაქტობრივად გარანტირებული აქვს. „ჩიხურაში“ გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩინებული „ნაზავი“ ჩამოყალიბდა და ყოველივე ამაში სეზონის დაწყებიდან უკვე არაერთი გუნდი დარწმუნდა. აი, ახლაც, მორიგი გამორჩეული მატჩი ჩაატარეს 31 წლის **დავით ოდიკაძემ** და 20 წლის **დავით კირკიტაძემ**, რომელთა გოლებითაც „ჩიხურამ“ დამაჯერებელი რევანში აიღო „ზუგდიდთან“ პირველ წრეში წაგებული, ცოტა არ იყოს, სკანდალური მატჩის (2:4) გამო. აღსანიშნავია, რომ ამპლუაით მარჯვენა მცველი დავით ოდიკაძე „ჩიხურას“ საუკეთესო მეგოლეა და საერთოდაც, ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც ჩაერთო! ოდიკაძეს და კირკიტაძეს ზედიზედ მეორე ტურია, გოლები გააქვთ, ისე, როგორც „მერანის“ 22 წლის თავდამსხმელ **საბა ლომიას,** რომელიც 5 გოლით თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. ამათგან განსხვავებით სეზონში პირველი გოლები გაიტანეს 23 წლის **ბექა ტულუშმა** („ტორპედო“), 24 წლის **გიორგი ჭედიამ** და 21 წლის **ვილი ისიანმა** (ორივე — „სიონი“). აღსანიშნავია, რომ ისიანმა გოლის გარდა, საგოლე პასიც მიითვალა და თანაგუნდელ 26 წლის **გიორგი ქუცურუასთან** ერთად ლომის წილი შეიტანა კონკურენტ „მერანის“ დამარცხებაში. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ძმების შედეგიანი თამაშიც: 27 წლის **გიორგი დათუნაიშვილმა** („ტორპედო“) ჩემპიონატში მეხუთე გოლი გაიტანა, 29 წლის **პაატა დათუნაიშვილმა** („კოლხეთი“) კი — მესამე. დაბოლოს, **ირაკლი სიხარულიძეზეც:** „მეტალურგის“ 22 წლის ცენტრფორვარდი ამ ტურში ერთადერთი ფეხბურთელი გახლდათ, „დუბლი“ რომ შეასრულა. სიხარულიძეს „არ ჩამორჩა“ მისი გამოცდილი თანაგუნდელი, 29 წლის **დიმიტრი ტატანაშვილი** და „მეტალურგის“ ფორვარდთა „დუეტს“ ხუთ-ხუთი გოლი დაუგროვდა.

გია ტუხაშვილი

XVII ტურის სიმბოლური ნაკრები

პირველი ლიგა. XVI ტური

A ჯგუფი

იმერეთი – სასკო	0:0
სულორი – სძური	1:1
გაგრა – ბეთლეემი	1:0
მეშახტე – სტუ	3:0

30 ნოემბერი

ჭიათურა – რაჭა
დინამო-2 – გურია

B ჯგუფი

30 ნოემბერი

ადელი – ზოოვეტი
ჩხერიმელა – სამგურალი
კოლხეთი (ხ) – ლიახვი
მერცხალი – სპარტაკი
შუქურა – ლოკომოტივი

II ლიგა. აღმოსავლეთი ზონა

XIII ტური

დუშეთი – სპარტაკი-2	3:1
ივერია – აბული	2:2
გაგრა-2 – იბერია	4:2
იუსი ბესტი – ლიახვი-2	2:0
საძ-უნივერსიტეტი – ლაგოდეხი	3:2
სასკო-2 – ფარავანი	4:3
ალგეთი-XXI – ქართლი 2011	0:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ქართლი	13	12	1	0	46-4	37
2. იუსი ბესტი	13	9	2	2	49-15	29
3. ივერია	13	9	1	3	43-27	28
4. დუშეთი	12	8	1	3	35-16	25
5. სპარტაკი-2	13	8	1	4	38-22	25
6. საძ. უნივერ.	12	8	1	3	32-17	25
7. გაგრა-2	12	6	1	6	35-32	19
8. ლიახვი	11	4	1	6	14-18	13
9. ლაგოდეხი	13	4	1	8	22-39	13
10. აბული	13	2	6	5	17-27	12
11. ალგეთი	13	3	0	10	15-32	9
12. სასკო-2	13	3	0	10	19-64	9
13. იბერია	13	2	1	10	24-49	7
14. ფარავანი	13	2	1	10	15-40	7

დუბლების ჩემპიონატი. XVII ტური

ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ)	1:3
დინამო (თბ) – ტორპედო	2:0
დილა – ზესტაფონი	3:1
ჩიხურა – ზუგდიდი	1:0
კოლხეთი – მეტალურგი	1:0
სიონი – მერანი	0:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	17	12	1	4	45-19	37
2. ვიტ ჯორჯია	17	11	3	3	43-18	36
3. ზესტაფონი	17	9	5	3	50-30	32
4. ზუგდიდი	17	9	4	4	27-17	31
5. ტორპედო	17	7	4	6	26-21	25
6. მეტალურგი	17	7	4	6	31-32	25
7. ჩიხურა	17	7	3	7	18-20	24
8. დილა	17	6	3	8	19-23	21
9. კოლხეთი	17	6	2	9	18-36	20
10. დინამო (თბ)	17	5	2	10	23-31	17
11. მერანი	17	4	2	11	10-37	14
12. სიონი	17	0	5	12	14-40	5

ქართული ფეხბურთი

● ტურის მწვრთნელი

მერაბ კოჭლაშვილი: კონკურენტებთან მობილიზება გვმართებს

17 ქულა და მე-9 ადგილი უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში – ასეთია "ვიტ ჯორჯიას" მონაგარი 17 ტურის შემდეგ. ვეტერინარები განსაკუთრებით მოტივირებულად ფავორიტებთან დაპირისპირებაში გამოიყურებიან და ეს მათ შედეგებზეც აისახება – "ვიტ ჯორჯიამ" უკვე დაამარცხა გორის "დილა" და რუსთავის "მეტალურგი", გასულ ტურში კი ერთპიროვნულ ლიდერ თბილისის "დინამოს" ქულები აართვა. მცხეთაში გამართული დაძაბული მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა და "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი მერაბ კოჭლაშვილი მიმდინარე სეზონში მესამედ გახდა "ლელოს" სიმბოლური ნაკრების მწვრთნელი.

დღეს ჩვენი გაზეთის რესპონდენტი სწორედ ვიტელთა დამრიგებელია.



მერაბ კოჭლაშვილი

- პირველ რიგში, დიდ მადლობას გადაგიხდით ტურის მწვრთნელად დასახელებისთვის. ეს ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის მნიშვნელოვანი სტიმულია.

- ახლა უკვე ცივი გონებით შეგიძლიათ თბილისური დერბის შეფასება.

- უპირველესად, იმას აღვნიშნავ, რომ დღესდღეობით "დინამო" ჩინებულ ფორმაშია, დუშან უჰრინმა შესანიშნავი გუნდი ჩამოაყალიბა. ვიცოდით, რომ ასეთ მეტოქესთან წარმატების მიღწევა ძალიან რთული იქნებოდა, მაგრამ ბიჭებმა ამ თამაშში ყველაფერი ჩადეს და ქულა სავსებით დაიმსახურეს. მადლობას ვუხდი 18-კაციან განაცხადში მყოფ თითოეულ ფეხბურთელს, რომლებმაც მაქსიმუმი გაიღეს წარმატებისთვის. გაამართლა ჩვენმა ტაქტიკურმა ჩანაფიქრმაც, რომელმაც საშუალება მოგვცა, მეტოქისთვის საუკეთესო თვისებების გამოვლენა შეგვეზღუდა. ასეც მოხდა და დავამტკიცეთ, რომ "დინამოსთან" პირველ წრეში დაფიქსირებული ანგარიში კანონზომიერი არ იყო **(ეს მატჩი "ვიტ ჯორჯიამ" 0:5 წააგო — ავტ.).** "ვიტ ჯორჯია" სისტემატურად ახერხებდა "დინამოსთან" ღირსეულად ბრძოლას და ამ ტრადიციას ვაგრძელებთ იმის მიუხედავად, რომ ჩვენს შემადგენლობაში ახალგაზრდა და გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობენ. ამ სეზონში ხომ ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ისეთი მოთამაშე დაწინაურდა, რომელიც წინა სეზონში 18 კაცშიც კი იშვიათად ხვდებოდა. ზოგმა "დინამოს" წინააღმდეგ პირველად ითამაშა. მატჩის მიწურულს ელგუჯა ლობჟანიძეს გამარჯვების გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ გამოცდილება დააკლდა. რა თქმა უნდა, სამი ქულის მოპოვების შანსი "დინამოსაც" ჰქონდა...

- მეტოქემ უკმაყოფილება გამოთქვა მსაჯობასთან დაკავშირებით...

- სიმართლე გითხრათ, მატჩის ვიდეოჩანაწერი ჯერ არ მინახავს და ამიტომაც ამ საკითხზე ვრცელ კომენტარს ვერ გავაკეთებ. თუმცა გეტყვით, რომ ლაშა გაბრიჭიძემ გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა და ჩვენს კარში პენალტიც არ იყო დასანიშნი, რადგან თამაშის წესებს ჯერ დინამოელი არღვევდა. საერთოდაც, მსაჯობაზე აპელირება სწორად არ მიმაჩნია, რადგან ამ მხრივ მდგომარეობა ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის. რა დონის ჩემპიონატიც გვაქვს, მსაჯობის ხარისხიც ამის ადეკვატურია. იმასაც გავიხსენებ, რომ პირველ წრეში "დინამოსთან" შეხვედრისას ჩვენს კარში უსამართლო თერთმეტმეტრიანი დანიშნეს.

- რით ახსნით იმ ფაქტს, რომ "ვიტ ჯორჯია" ლიდერებთან დამაჯერებლად ასპარეზობს, უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში კი ხშირად კარგავს ქულებს?

- ეს მართლაც ჩვენი უმთავრესი პრობლემა და სატკივარია. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად დიდი შრომა გვმართებს. ყველაფრის თავიდათავი მოტივაციის ნაკლებობაა. რა თქმა უნდა, "დინამოსა" და "დილასთან" მოპოვებული ქულები ჩვენთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად უნდა გაითავისონ, რომ კარგი შედეგებისთვის სტაბილური თამაშია საჭირო. უშუალო კონკურენტებთან მეტი მობილიზება გვმართებს.

- რამდენად მისაღებია თქვენთვის ის პოზიცია, რაც "ვიტ ჯორჯიას" ამჟამად უკავია სატურნირო ცხრილში?

- ნამდვილად არ არის მისაღები, რადგან ჩვენი მიზანი საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა იყო. შედეგების გაუმჯობესებას აუცილებლად შევეცდებით, პოზიტიური კი ის არის, რომ "ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა თითქმის მთლიანად ჩვენი კლუბის აღზრდილებით არის დაკომპლექტებული და ამ ბიჭების პროგრესი თვალსაჩინოა, რაც ძალიან გვახარებს. უმაღლეს ლიგაში დასარჩენად დიდი ბრძოლა გველის, რადგან უქმად არც ჩვენი კონკურენტები არიან.

- ზამთრის გეგმებზე ხომ არ ჩამოყალიბებულხართ?

- უკვე გადაწყვეტილია, რომ მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთში გავემგზავრებით. უცხოური შეკრება მხოლოდ ლოკალური ამოცანების გადასაჭრელად კი არ არის სასარგებლო, გათვლა მომავალზეც კეთდება, რადგან ამით ახალგაზრდა ფეხბურთელები ფასდაუდებელ გამოცდილებას იძენენ.

- ზამთარში "ვიტ ჯორჯიას" რომელიმე ნამყვანი ფეხბურთელი ხომ არ დატოვებს?

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, დაველოდებით კონკრეტულ შემოთავაზებებს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უკვე თბილისშია "ვიტ ჯორჯიას" ყოფილი ლიდერი გიორგი ჯანელიძე, რადგან რუსეთის პირველ დივიზიონში უკვე შესვენება გამოცხადდა. თუ კანონი საშუალებას მოგვცემს, გიორგის ოფიციალურ მატჩებში დიდი სიამოვნებით მივცემთ თამაშის საშუალებას.

ლევან ჯანეზაშვილი

● ლეგიონერი

ბარაბაძე საფრანგეთში დუბლით დაბრუნდა

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა კანდიდატმა **მიხეილ ბარაბაძემ** საფრანგეთის მე-4 ლიგის "ოასელთან" კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება 17 ნოემბერს გაფორმდა და 24 წლის ქართველმა თავდამსხმელმა უკვე პირველი ოფიციალური შეხვედრის ჩატარება მოასწრო – 24 ნოემბერს "ოასელი" "პარიზს" შეხვდა და 2:1 მოუგო, ორივე გოლი ბარაბაძემ გაიტანა.

"2009-2010 წლებში ნაციონალური (მე-2) ლიგის "რუანში" ვთამაშობდი. მაგრამ მძიმე ტრავმა მივიღე და ფორმის აღსადგენად, ცხინვალის „სპარტაკთან" ხანმოკლე კონტრაქტი გავაფორმე. თუმცა სულ ევროპაში დაბრუნებაზე ვფიქრობდი და სეზონის დასრულების შემდეგ საქართველოდან წავედი.

გუჯა კახაძის სპეციალური კურსები გავიარე და სისწრაფეს მოვუმატე. მერე საფრანგეთში მე-4 ლიგის "ოასელთან" კონტრაქტის გაფორმებას ვაპირებდი. თებერვალში ჩავფრინდი, როდესაც სატრანსფერო სეზონი დახურული იყო და კონტრაქტის გაფორმება შეუძლებელი აღმოჩნდა. არადა, ამხანაგურ მატჩებში ბევრი გოლი გავიტანე და "ოასელს" წემი გაშვება არ სურდა. მერე შევთანხმდით, რომ კლუბს ივნისიდან შევუერთდებოდი. მაგრამ სავიზო პრობლემების გამო, საფრანგეთში თამაშის უფლება მხოლოდ ახლა მივიღე.

მიხეილ ბარაბაძე

სამწუხაროდ, სამუშაო ვიზის მოლოდინში ერთი წელი გამიცდა. საფრანგეთში ორი კვირის წინ ჩამოვედი, კონტრაქტი გავაფორმე და პარასკევს უკვე მათამაშეს. 0:1-ს ვაგებდით და ბოლო 15 წუთში დუბლი შევასრულე. "ოასელი" საფრანგეთის მე-4 ლიგის კლუბია, მაგრამ ამ ეტაპზე, საქართველოში თამაშს, აქ ყოფნა მირჩევნია. მომავლის იმედი მაინც მაქვს. ირაკლი სირბილაძის მაგალითი მაიმედებს, რომ კარიერის აწყობა გვიანი არასოდეს არის. კაცმა ფინეთის მესამე ლიგიდან დაიწყო, უმაღლესში შარშან გადავიდა, წლეულს კი სეზონის საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი გახდა და ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს.

კლუბს ისეთი სავარჯიშო პირობები აქვს, რომლის მსგავსი საქართველოში უმაღლესი ლიგის ლიდერებისთვისაც სანატრელია: 3 სავარჯიშო მოედანი ტყის სიახლოვეს მდებარეობს, სასიამოვნო გარემოში ვვარჯიშობ და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც შეიძლება კარგად ვითამაშო და მაღალი ლიგის ძლიერი კლუბები დავაინტერესო. მე-2 ლიგის დუბლშემადგენლობებთან ვთამაშობთ და თავის გამოჩენის შემთხვევაში, საფრანგეთის მე-2 ლიგამდე ერთი ნაბიჯია. მატჩებს საფეხბურთო აგენტები ესწრებიან, მათ შორის, მეზობელი ბელგიიდან და იქაურ კლუბში მოხვედრასაც ვიმედოვნებ"- გვითხრა მიხეილ ბარაბაძემ.

მერაბ მამულაშვილი

1 კვირის 1000 ცვრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თავართქილაძე

დიდი საქმე, რომელსაც მხოლოდ ჯეთილი ნება სჭირდება

ორთაჭალის ციხიდან ბოლნისამდე "მარშრუტკას" საათიც არ უნდა, თუ ყურადღებით იქნებით, რამდენიმე აზერბაიჯანულ სიტყვასაც ისწავლით მგზავრებისგან. ბოლნისამდე მგზავრობა ძვირი არ ღირს, მიკროავტობუსის მძღოლს კი ისეთი ინტუიცია აქვს, ეგრევე მიხვდება, რომ ბოლნისელი არ ხარ და იქ ფეხბურთზე მიდიხარ.

ბოლნისი საფეხბურთო კერა იყო, სადაც ორი-სამი ათასი გულშემატკივარი მიდიოდა სტადიონზე. დღეს ასე აღარ არის, მაგრამ ბოლნისს მაინც შერჩა რაღაც ოდინდელი დიდებიდან. ალბათ რაღაცის გაცოცხლება უფრო ადვილია, ვიდრე რამეს თავიდან გაკეთება, ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთში ასე უნდა იყოს.

დღევანდელი "ვიტ ჯორჯიაც" არ არის ისეთი გუნდი, ადრე რომ იყო, მაგრამ ფეხბურთში რაღაც ნიშას რომ დაიჭერ, ის აღარ მოგეშვება.

ჩემპიონატის ნინა ტურში "ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში "დინამოს" ორი ქულა დააკარგვინა. ამ თამაშზე არ ვყოფილვარ, მაგრამ გოლები კი ვნახე.

ვიტჯორჯიელმა გიორგი კორიფაძემ მეტოქე მცველს შეცდომა არ აპატია, გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და მისი ზუსტი ჩაწოდება ლაშა გაბრიჭიძემ გოლად აქცია. "ვიტ ჯორჯიას" არაერთხელ გაუმწარებია "დინამო", არაერთხელ გამოუყენებია "დინამოსთან" მონინააღმდეგის ერთადერთი შეცდომაც კი. "ვიტ ჯორჯიამ" ეს იცოდა და გამოჩნდა, რომ არც დავიწყებია.

ასეა, ქართულ გუნდებსაც აქვთ რაღაც თავისი, ანუ ის ბაზისი, რაზეც შეიძლება რაღაცის დაშენება.

ხელახლა გახდა აქტუალური პროფლიგის შექმნა, ოღონდაც ჯერ მკაფიოდ არ ჩანს, ჩემპიონატის კომერციალიზაციას კლუბებმა უნდა მოაბან თავი თუ ფეხბურთის ფედერაციამ. შესაძლოა, ეს ერთობლივადაც მოხდეს, მოკლედ, სასიკეთო ძვრები უკვე არის.

საინტერესოა, პარტნიორობის რა ფორმა გამოიკვეთება სახელმწიფოსა და ქართულ კლუბებს შორის. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ახალი მინისტრი ლევან ყიფიანი საფეხბურთო სამყაროდან გამოსული კაცია და კარგად იცის, თუ ყველაზე უფრო სად უჭირს საკლუბო ფეხბურთს.

90-იან წლებში სახელმწიფო მხოლოდ თბილისის "დინამოს" დაეხმარა და შელავათები დაუწესა კომერციული საქმიანობისთვის. დახმარება კარგია, მაგრამ რა დააშავეს დანარჩენმა კლუბებმა? დღეს ასეთი რამ ალბათ აღარ მოხდება, ქვეყანა ასე თუ ისე წინ წავიდა და უწინდელი გაკვეთილებისგან ბევრი ისწავლა. კლუბებსა და სახელმწიფოს შორის პარტნიორობის ყველასათვის მისაღები, აპრობირებული ფორმა საკანონმდებლო ბაზაა, რომლის მიხედვითაც ყველა საფეხბურთო კლუბი თანაბარ პირობებში აღმოჩნდება.

საკლუბო ფეხბურთი რომ დაწინაურდეს, ეს ახალი მინისტრისთვის ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, თუნდაც იმიტომ, რომ საკლუბო ფეხბურთისთვის საქართველოში მანამდე არც ერთ ხელისუფლებას არ უზრუნია გეგმაზომიერად, მიზანმიმართული პოლიტიკით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე კი აჟიოტაჟი ჩაცხრა. ფედერაცია სახელმწიფო დოტაციის გარეშე როგორ მოახერხებს საკუთარი ოფისის და ყველა ნაკრების მაღალ დონეზე შენახვას, ამას დრო გვიჩვენებს. სპორტის მინისტრმა კი გვითხრა, ეგვიპტესთან ამასწინანდელი ამხანაგური მატჩის ორგანიზებაში ფედერაციას ჩვენი დახმარება დასჭირდაო.

როგორც უნდა იყოს, ფედერაციის შემოსავალი გაიზრდება, ფიფა და უეფა კიდევ უფრო წარმატებული ორგანიზაციები იქნებიან ფინანსურად და ეს თავისთავად მათი წევრი ასოციაციების კეთილდღეობაზეც აისახება.

პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები კი მაინც ისეთი თემაა, რომ ვერ მოკვდება, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ. მანამდე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დომენტი სიჭინავა სხვის ნათქვამზე გადადგომას არ აპირებს.

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ვინძლო ცალკე საკითხია. ვფიქრობ, ამ აღმასკომს რეფორმა არ აწყენდა. ერთ მაგალითს მოვიყვან – უმაღლესი ლიგის ერთ-ერთმა კლუბმა საკლუბო ლიცენზირება ვერ გაიარა, მაგრამ აღმასკომმა მაინც დაუშვა ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში.

მე თუ მკითხავთ, ეს არ არის დახმარება ამ კლუბისთვის, ეს მხოლოდ დათვური სამსახურია და ცუდი მაგალითი სხვა კლუბებისთვის.

აღმასკომის გადახალისება სწორედაც რომ დიდი საქმე იქნება...

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲚᲘ�გᲐ. XIV ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲡᲐᲤᲛᲔ?

ᲑᲔᲘᲚᲘ ᲐᲥ, ᲑᲔᲘᲚᲘ ᲘᲥ

შეხვედრა სტუმართათვის შოკის მომგვრელად დაიწყო. პირველივე წუთებზე მოედნის ცენტრთან ახლოს **კლინტ დემპსის** წინააღმდეგ უხეშობისთვის ჯარიმა დაინიშნა, რომელიც **გარეთ ბეილმა** შეასრულა. მანძილის მიუხედავად **პეპე რეინა** უელსელის დარტყმულს ძლივს გაუმკლავდა. იმავე ბეილმა მალე რეიდი საკუთარი ნახევრიდან დაიწყო, გზად ხუთი ლივერპულელი ჩამოიშორა, საჯარიმოში შეიჭრა და **აარონ ლენონს** ცარიელ კართან დაუგორა – 1:0. "წითლებს" ორჯერ ჰქონდათ შესანიშნავი შანსი ანგარიშის გასათანაბრებლად. მომენტი ჯერ **ლუის სუარესმა** ვერ გამოიყენა, მერე **ჯორდან ჰენდერსონმა**. "დეზები" შალე კიდევ უფრო დანინაურდნენ. ჯარიმა ისევ დემპსის წაქცევისთვის დაინიშნა. ბეილმა თავისი ჯადოსნური მარცხენა ფეხით მეკარეს შანსი არ დაუტოვა. სტუმარს ბრძოლა არ შეუწყვეტია. სუარესმა უკვე წაქცეულმა შეძლო ბრძოლაში ბურთისთვის ფეხის მირტყმა, მაგრამ **კაილ უოლკერმა** "ტოტენჰემი" უკანასკნელ წამს იხსნა გოლისგან.

მეორე ტაიმი შედარებით დუნედ წარიმართა. შესაბამისად, უფრო უინტერესო საყურებელი გახდა. "ლივერპულმა" ჩამორჩენა მაინც შეამცირა. **ჯონჯო შელვის** კუთხური **დანიელ აგერმა** მეორე სართულზე მოიგო და **სტივ ჯერარდს** დაუგდო. უკანასკნელმა ბურთი თავითვე გადაგზავნა კარში, მაგრამ ლენონმა ხაზიდან გამოიტანა და იქვე მდგარ ბეილს სახეში გაარტყა. უელსელი ავტოგოლის შემდეგ ცოტა ხანში ნოკდაუნშიც კი გახლდათ. მერსისაიდელებს გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ სუარესმა **ვერტონგენისა** და **დოუსონის** გარემოცვაში ბურთს კარგად ვერ წაარტყა ფეხი. მსაჯს პენალტის დანიშვნაც შეეძლო, როცა სუარესს **გალასმა** ორთაბრძოლისას უკნიდან ფეხი დააბიჯა, მაგრამ **ფილ დაუდმა** ურუგვაელს აქეთ უსაყვედურა, ჩემს გაცურებას ნუ ცდილობო.



ლივერპულმა გარეთ ბეილს ვერაფერი მოუხერხა

ᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ

რაფა ბენიტესის "ჩელსიმ" დროის მოკლე მონაკვეთში პრემიერლიგის ორი ტური მოილია და ორჯერვე უგოლო ფრეს დასჯერდა. ესპანელი თამაშის შემდეგ **ფერნანდო ტორესის** თამაშში პროგრესსა და საჩემპიონო შანსებზე ალაპარაკდა, მაგრამ ვეჭვობთ, მისმა მჭევრმეტყველებამ მოგებებზე დამშეული "ჩელსი" დაანაყროს.

ვერ გეტყვით, რას გეგმავდა ბენიტესი, როცა **ხუან მატა** და **ჯონ ობი მიკელი** სკამზე დატოვა, მაგრამ მისმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა. "ლურჯები" არ ვარგოდნენ. დიახ, გუნდმა, რომელსაც პრემიერლიგის მოგებაზე აქვს პრეტენზია, "ფულჰემის" კართან 90 წუთის განმავლობაში ორადორი რეალური საგოლე მომენტი შექმნა. თავის გამოჩენა ორჯერვე ტორესს შეეძლო. „ელ ნინოს" ერთხელ **მარკ შვარცერმა** აუღო, მეორედ მისი დარტყმა **საშა რიტერმა** დაბლოკა. სტუმარს ნამდვილად შეეძლო "სტემფორდ ბრიჯზე" სამი ქულა წაეღო, მაგრამ ვინ იცის, **პეტრ ჩეხმა** "ჩელსი" მერამდენად იხსნა.

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲧᲛᲐᲠᲐ

"გუდისონ პარკი" მატჩის დაწყებიდან 51 წამის გასვლის შემდეგ დადუმდა. **აარონ რემსის** პასით **თეო უოლკოტმა** მეკარეს ბურთი ტექნიკურად გადაუგდო თავზე. "მეთოფეებს" მალე უბედურება ეწვიათ. პირველივე ორთაბრძოლისას **ლორენ კოშელნიმ** ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქმნა. ფრანგი დეკემბრის შუა რიცხვებამდე ვერ ითამაშებს. "ლურჯები" გონს მალევე მოეგნენ და ყოველი გოჯი მიწისთვის დაიწყეს ბრძოლა. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში **შჩესნის** დაგორებული ბურთი **სანიამ** ჯერ **არტეტას** მისცა უხერხულ მდგომარეობაში, მერე კიდევ 25 მეტრში მდგომ **ფელაინის** გადააბარა. ბელგიელმა ბურთი გაისნორა და ტექნიკური დარტყმით მეკარისგან მარჯვენა დაბალი კუთხე დალაშქრა. ტაიმის ბოლომდე "ევერტონს" კიდევ ერთხელ შეეძლო წინ გასვლა, მაგრამ **ნიკიცა იელავიჩმა პერ მერტეზაკერის** მოტყუების შემდეგ ხარიხას გადააცილა.

მეორე ტაიმში მომენტები გააფუჭეს **სტივენ პიენაარმა** და იელავიჩმა. **მაიკლ ოლივერს** პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ **არტეტას** მხრიდან პიენაარზე წესების დარღვევა არ დააფიქსირა.

ᲑᲐᲚᲝᲢᲔᲚᲘ ᲒᲝᲚᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

"სიტისთვის" ამ სამ ქულას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. "ჩელსისა" და სხვა კონკურენტების ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ "იუნაიტედს" ოქროსთვის ბრძოლაში ისიც არ ჩამორჩებოდა. შობა-ახალი წლის დღეებში ეგრეთ წოდებულმა "ბოქსინგ დეიზმა" შექმნილ სიტუაციას წესით მეტი ნათელი უნდა მოჰფინოს. ასეთ დაძაბულ რიტმს ყველა გუნდი ვერ უძლებს და ქვეცნობიერად მაინც თავს ანებებს ოცნებას უმაღლეს მიზნებზე, რაც მათთან ბრძოლას აადვილებს. იქამდე კი "სიტიმ" თავად უნდა მოახერხოს წინა ხაზზე დარჩენა.

"უიგანმა" მოქმედ ჩემპიონს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია. მარტო **არუნა კონეს** სამი რეალური მომენტი ჰქონდა ანგარიშის გასახსნელად, მაგრამ ივუარელ თავდამსხმელს ხან რამ შეუშალა ხელი, ხან რამ. პირველ ნახევარში "ქალაქელთაგან" გატანა მხოლოდ **სერხიო აგუეროს** შეეძლო. მეორეში კი **მარიო ბალოტელიმ** მარტომ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, როცა მეტოქეს ბურთი ჯერ წაართვა, დაარტყა, მოგერიებულს კი დაამატა და ისე გაიტანა. "უიგანის" კარი მეორედაც მალე დაეცა. **ჯეიმს მილნერმა** შორეული ძლიერი დარტყმით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲘᲐᲖᲔ

"სტოკ სიტიმ" "ნიუკასლი" მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა. ანგარიში "კაჭკაჭებმა" გახსნეს. **პაპის სისემ** მეკარის შეცდომით ისარგებლა და გოლი დამატებაზე შეაგდო. მასპინძლებმა ბოლო 10 წუთში 2-ჯერ გაიტანეს. შეცვლაზე შესულმა **კემერონ ჯერომმა** ჯერ **ჯონათან უოლტერსს** გაატანინა, მერე კი **პიტერ კრაუჩის** ნაცვლად მინდორზე გამოჩენილი **კენუაინ ჯონსის** პასით ისარგებლა და თავად გაიტანა.

ᲒᲔᲓᲔᲑᲛᲐ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲡ

"სუონსიმ" მიმდინარე სეზონის აღმოჩენა "ვესტ ბრომვიჩს" უმასპინძლა და იმდენად ლამაზად ითამაშა, რომ გუნდურობით სახელგანთქმულ მეტოქეს თავბრუ დაახვია. შესაძლოა უხეში ფორმულირება გამოგვდის", მაგრამ ვიტყვით, რომ "გედების" მრავალსვლიან კომბინაციებს **სტივ კლარკის** შეგირდები პირდაღებულები უყურებდნენ. საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკური ანგარიშით დასრულდა – 3:1. სტუმართაგან გოლი **რომელუ ლუკაკუმ** კუთხურის გათამაშების შემდეგ გაიტანა.

ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲠᲓᲝ ᲒᲝᲚᲘ

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ "არსენალმა" "ევერტონთან" ანგარიში 51-ე წამზე გახსნა. ზუსტად 19 წამით ნაკლები დასჭირდა "მანჩესტერ იუნაიტედს", რაც მიმდინარე სეზონის რეკორდია. მოედნის ცენტრიდან **მაიკლ კერიკის** პასი მეცხრე იყო **რობინ ვან პერსიზე**. ჰოლანდიელმა **უინსტონ რიდი** საოცარი ფინტით ჩამოიშორა და დაარტყა. ბურთი **ჯეიმს კოლინზს** ფეხზე მოხვდა და **იუსი იაკელაინენს** თავზე გადააფრინდა.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ტურის საუკეთესო ფეხბურთელად **გარეთ ბეილს** მივიჩნევთ. მართალია, მან საკუთარი კარი დალაშქრა, თუმცა მატჩის მიმოხილვას თუ ნახავთ, თავად დარწმუნდებით, რომ უელსელი ყველაზე ნაკლებად იყო ამაში დამნაშავე. იქამდე მან მთელ "ლივერპულს" სისხლი გაუშრო. თამამად ვიტყვით, რომ სწორედ მისმა ინდივიდუალურმა ოსტატობამ მოუტანა "დეზებს" სამი ქულა.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ტონი პულისი და მისი "სტოკ სიტი" თუკი სხვებისგან რამით გამოირჩევიან, ეს შრომისა და დისციპლინის სიყვარულია. ასეთების ინდივიდუალურად გამორჩევა ძალიან ძნელია, მაგრამ 54 წლის სპეციალისტმა ამჯერად ნამდვილად გაიბრწყინა. უელსელმა "ნიუკასლს" შეცვლაზე შესული ფეხბურთელებით მოუგო. რასაც ვგულისხმობთ, მიმოხილვაში უკვე აღვწერეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ



ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲑᲔᲜᲖᲔᲛᲐ, ᲨᲘᲣᲠᲚᲘ, ᲣᲝᲚᲡᲘ

ᲑᲝᲚᲝ ხანს "ჩელსის" საკადრო პრობლემებზე ბევრი ინერება. **დენიელ სტარიჯს** "სტემფორდ ბრიჯზე" გაჩერება აღარ სურს, **ფერნანდო ტორესი** მიუხედავად სეზონში გატანილი 7 გოლისა, სტაბილურად მაინც ვერ ირჯება. ინგლისური პრესა "ლურჯების" სახელს ხან რომელ თავდამსხმელს უკავშირებს, ხან რომელს. მაგალითად ამ დღეებში "დეილი მირორმა" დაწერა, რომ **რაფა ბენიტესს** "ლევერკუზენიდან" **ანდრეა შიურლეს** გადაბირება სურს. რაკი გერმანელი გარემარბია, ეჭვი გვაქვს, ესპანელი კიდევ ერთ ვინგერზე ოცნებობდეს, როცა, მინიმუმ, 5 ფეხბურთელი ჰყავს ამ პოზიციაზე. AS-მა კი გვაცნობა, რომ ლონდონელები "რეალს" დაუკავშირდნენ და **კარიმ ბენზემას** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. გამოცემა ირწმუნება, რომ **რომან აბრამოვიჩი** მზადაა, ფრანგში 35 მილიონი ევრო გადაიხადოს. თავდამსხმელების გარდა ლაპარაკია "ფლუმინენსეს" 18 წლის მარჯვენა მცველ **უოლასზე**. ნიჭიერი ახალგაზრდა 7 მილიონ ევროზე მეტი ღირს. ბრაზილიური პრესა საკითხს გადაწყვეტილად მიიჩნევს.

ᲑᲔᲘᲜᲡᲛᲐ ᲢᲠᲐᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ

"ევერტონის" 27 წლის მარცხენა მცველმა **ლეიტონ ბეინსმა** ოთხშაბათს "არსენალთან" შეხვედრის მეორე ნახევარში მუხლი მსუბუქად დაიზიანა, მაგრამ **დევიდ მოიესს** ამის შესახებ მხოლოდ მატჩის დასრულების შემდეგ უთხრა. არადა შოტლანდიელს სამი ცვლილება არც გამოუყენებია. *"ბეინსს მუხლის მყესები მსუბუქად აქვს დაჭიმული. ითამაშებს თუ არა ამ უქმეებზე "მანჩესტერ სიტისთან", ჯერ კიდევ არ ვიცი. კიდევ კარგი, გიბსონმა და ჰიბერტმა მოიკეთეს, ეს ჩვენს ცხოვრებას მნიშვნელოვნად აიოლებს,"* – განუცხადა მოიესმა „სქაი სპორტს".

ᲠᲔᲘᲜᲯᲔᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ "ეკიპის" ცნობით, "ქუინზ პარკი" მზადაა იანვარში "მარსელს" 25 წლის **ლოიკ რემის** სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზოს. "გარდიანი" კი ამტკიცებს, რომ "რეინჯერებს" "ასტონ ვილადან" ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის, 28 წლის **დარენ ბენტის** შეძენა აქვთ განზრახული. ლონდონელებს სეზონის დაწყებამდე **ბობი ზამორასა** და **ენდი ჯონსონის** იმედი ჰქონდათ, მაგრამ უკანასკნელი ჯერ კიდევ აგვისტოში დაიმტვრა და მთელ სეზონს გამოტოვებს, ზამორამ კი მუხლი სულ ახლახან დაიშავა ისიც დიდხანს ვერ ითამაშებს. იმ დროს, როცა **ჰარი რედნაპის** გუნდს გავარდნა რეალურად ემუქრება, მწვრთნელი მხოლოდ **ჯიბრილ სისეს** იმედად ნამდვილად ვერ იქნება.

ᲧᲠᲐᲣᲩᲡ ᲧᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲣᲓᲔᲡ

"სტოკ სიტის" თავკაცმა **ტონი პულისმა პიტერ კრაუჩი** პირველი ტაიმის დასრულებამდე შეცვალა. მიზეზი ფეხბურთელის ყბასახის ტრავმა აღმოჩნდა. დისკვალიფიკაციამოხდილ **ფაბრისიო კოლიჩინისთან** შეჯახების შემდეგ თავდამსხმელმა წინა სამ კბილი დაკარგა. *"პიტერს ძალიან უნდოდა თამაშის გაგრძელება, მაგრამ მას ამის უფლება ჩვენმა ექიმმა ანდრე დენტმა არ მისცა. მას მერე, რაც საკუთარი კბილები ექიმის ხელში დაინახა, კინალამ გული წაუვიდა,"* – განაცხადა პულისმა. კრაუჩი შაბათს "ვესტ ბრომვიჩთან" XV ტურის მატჩს დააკლდება.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

უცხოური ფეხბურთი

● საფრანგეთი. ლიგა 1. X ტურის გამოტოვებული მატჩი

გომისმა მანდანდა სამჯერ დაამწუხრა

ლიონმა ლიდერობა დაიბრუნა

მარსელი–ლიონი 1:4

გოლები: 0:1 გომისი (3-პენ), 0:2 გომისი (34), 0:3 მალბრანკი (48), 0:4 გომისი (72), 1:4 რემი (78).

მარსელი: მანდანდა – ფანი, დიავარა, ნკულუ, მორელი – კაბორე (აბდულა 57), ბარტონი (რემი 46), შეირუ – ვალბუენა (აბდალა 82), ჯ. აიუ, ა. აიუ.

ლიონი: ვერკუტრი – რევეიე, ბიშევაცი, უმტიტი, დაბო – გონალონი, მალბრანკი, გრენიე – ლაკაზეტი (მ. ბასტოსი 74), გეზალი (ბენზია 82), გომისი.

გაძევება: ფანი (81).

ბაფეტიმბი გომისის ჰეთ-თრიქის და **სტიდ მალბრანკის** სეზონში მეორე გოლის წყალობით, ლიონის "ოლიმპიკმა" მარსელელი თანაკლუბელები გაანადგურა და ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიბრუნა.

სტუმრებს ზედ შეხვედრის დაწყების წინ, ტრავმის გამო **იოან გურკუფი** გამოაკლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნახევარდაცვის ტრიომ (**გონალონი, მალბრანკი, გრენიე**) შესანიშნავად ითამაშა და მასპინძლებს ყველა კომპონენტში აჯობა. "მარსელის" მხრიდან განსაკუთრებით ცუდად **ნიკოლას ნკულუ** გამოიყურებოდა, რომელიც უამრავ შეცდომას უშვებდა.

რემი გარდის გუნდმა შეხვედრა ძალიან კარგად დაიწყო და უკვე მესამე წუთზე, **სტივ მანდანდამ** გომისი საჯარიმოში წააქცია, რასაც პენალტი მოჰყვა, რომელიც თავად დაზარალებულმა გაიტანა. მოგვიანებით კი მანვე დუბლი, **დაბოს** პასის და ნკულუს შეცდომის შემდეგ შეასრულა.

შეხვედრის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, როდესაც სტიდ მალბრანკმა ტაბლოზე დიდი ანგარიში დააფიქსირა. ერთადერთი დადებითი რამ, რაც ამ შეხვედრაში მასპინძლებისთვის მოხდა, **ლოიკ რემის** მოედანზე დაბრუნება გახლავთ, რომელმაც თავი უმალვე გოლით გამოიჩინა და "ლიონს" მარსელში, ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვების საშუალება არ მისცა.

საბოლოოდ 1:4 და "ლიონმა" დაიბრუნა პირველი პოზიცია, რომელიც წინა ტურის შემდეგ, ტულუზში განადგურების გამო დათმო.

ელი ბოპი (მარსელი): "*საშინელი საღამო გამოვიდა. გარდა იმისა, რომ დიდი ანგარიშით წავაგეთ, მომავალი მატჩისთვის როდ ფანიც დავკარგეთ. გოლი ძალიან ადრე გავუშვით და შემდეგ გათანაბრება ვერ მოვახერხეთ, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგი საგოლე შანსები გვქონდა. მეორე და მესამე გაშვებული ბურთების შემდეგ კი შეხვედრამ აზრი დაკარგა. ამ თამაშზე ბევრი არ უნდა ვიფიქროთ, რადგან აქამდე ცამეტი საკმაოდ კარგი მატჩი ჩავატარეთ. ახლა მთლიანად "ბრესტთან" დაგეგმილ შეხვედრაზე უნდა გადავერთოთ და იქიდან მნიშვნელოვანი ქულების წამოღება ვცადოთ*".

ბაფეტიმბი გომისი (ლიონი): "*ბედნიერი ვარ, რადგან დღეს კარგად ვითამაშეთ და უძლიერესი მეტოქე ისე დავამარცხეთ, რომ ერთი შანსიც არ დავუტოვეთ. დღევანდელი დღე არასდროს დამავიწყდება, რადგან ლიგა 1-ში პირველი ჰეთ-თრიქი შევასრულე. ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ და "მონპელიეს თვის" სათანადოდ განვეწყოთ*".

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიონი	14	8	4	2	27-15	28
2. პსჟ	14	7	5	2	23-10	26
3. მარსელი	14	8	2	4	18-15	26
4. სენტ ეტიენი	14	7	4	3	24-10	25
5. ბორდო	14	6	6	2	18-11	24
6. ვალანსიენი	14	6	4	4	27-16	22
7. ტულუზი	14	6	4	4	23-16	22
8. რენი	14	7	1	6	18-17	22
9. ლილი	14	5	5	4	16-15	20
10. ნიცა	14	4	7	3	19-19	19
11. ლორიანი	14	4	6	4	22-27	18
12. მონპელიე	14	4	5	5	19-18	17
13. ბრესტი	14	5	2	7	14-18	17
14. ბასტია	14	5	2	7	21-33	17
15. რეიმსი	14	4	4	6	13-14	16
16. აიაჩო	14	4	5	5	15-19	15
17. ევიანი	14	4	3	7	16-22	15
18. სოჭო	14	4	2	8	13-20	14
19. ტრუა	14	1	5	8	14-29	8
20. ნანსი	14	1	4	9	9-25	7

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

ბომბარდირები: 12 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), გომისი (ლიონი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 6 – ცვიტანიჩი (ნიცა), ერდინჩი (რენი), გუფრანი (ბორდო), მოდესტი (ბასტია).

● საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ჩემპიონი და ექსჩემპიონი

მონპელიე–ნიცა 3:2

გოლები: 0:1 ბოსეტი (22), 1:1 კაბელია (29), 2:1 ერერა (52), 2:2 ბოტეაკი (66-პენ), 3:2 ტინიანი (83).

ბასტია–ლილი 0:3

გოლები: 0:1 ჯ. ბრუნო (11), 0:2 როდლენი (62), 0:3 სიდიბე (84).

საფრანგეთის ლიგის თასის კიდევ ორი ნახევარფინალისტი გაირკვა. მოქმედმა ჩემპიონმა, "მონპელიემ" დაძაბულ ბრძოლაში "ნიცა" დაამარცხა, ხოლო ექსჩემპიონმა, "ლილმა" კორსიკაზე გაისეირნა.

რენე ჟირარმა "ნიცასთან" შერეული შემადგენლობა გამოიყვანა და ამის გამო კინაღამ დაისაჯა. სტუმრები 22-ე წუთზე დაწინაურდნენ, მაგრამ **რემი კაბელიამ**, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს, წონასწორობა მალე აღადგინა, ხოლო მეორე ტაიმში მასპინძლები არგენტინელმა **ემანუელ ერერამ** დააწინაურა. შეხვედრა "მონპელიეს" უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ სტუმართა კონტრშეტევას მასპინძელთა საჯარიმოში წესების დარღვევა მოჰყვა, პენალტი კი **ერიკ ბოტეაკმა** გამოიყენა. საბოლოოდ, შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. 83-ე წუთზე, ცვლილებაზე სამი წუთით ადრე გამოსულმა **ჟონათან ტინიანმა** გამარჯვების გოლი გაიტანა და "მონპელიე" ნახევარფინალში გაიყვანა.

ამავე ეტაპზე აღმოჩნდა "ლილიც", რომელმაც კორსიკაზე იოლი გამარჯვება მოიპოვა. ანგარიში 11-ე წუთზე ახალგაზრდა **ჯანი ბრუნომ** გახსნა, ვინც თავი ჩემპიონთა ლიგაზეც გამოიჩინა და როგორც ჩანს, ნელ-ნელა "ძაღლების" ძირითად შემადგენლობას უშინაურდება. პირველ ტაიმში მატჩი დაახლოებით 20 წუთით შეწყდა, რადგან "ბასტიას" ქომაგებმა, ერთ-ერთ თანამსაჯს ტრიბუნიდან მაშხალა გაარტყეს. სტუმრებმა საკუთარი უპირატესობა მეორე ტაიმში განავრცეს – გოლები **რონი როდლენმა** და **ჯიბრილ სიდიბემ** გაიტანეს. **რუდი გარსიას** გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა, "ბასტიას" სტადიონს კი კიდევ ერთი დისკვალიფიკაცია ელის. შეგახსენებთ, რომ "სტად არმან სესარი" ცოტა ხნის წინ ორი თამაშით იყო დახურული.

● ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონალდინიო კიდევ ერთი წლით

"ატლეტიკომინეიროს" პრეზიდენტმა, **ალეშანდრე კალილმა**, საკუთარ "ტვიტერზე" დაწერა, რომ **რონალდინიო** კლუბში კიდევ ერთი წლით დარჩება. 32 წლის ფეხბურთელს მოქმედი ხელშეკრულება 2012 წლის 31 დეკემბერს უმთავრდება, რის გამოც პრესაში მის "ფლუმინენსეში" შესაძლო ტრანსფერზე ხშირად წერდნენ, მაგრამ "ატლეტიკოს" პრეზიდენტმა ყველანაირი ჭორი გააქარწყლა.

რონალდინიო შესანიშნავ სეზონს ატარებს. "გაუჩომ" სერია A-ს 31 თამაშში 11 გოლი გაიტანა და 9 საგოლე პასი გააკეთა, მისი გუნდი კი მესამე პოზიციაზეა და მომავალი სეზონის ლიბერტადორესის თასის საგზური უკვე განაღდებული აქვს.

რემი ქუინზ პარკში

ფრანგული L'Equipe-ის ინფორმაციით, "მარსელის" ფორვარდი **ლოიკ რემი**, "ქუინზ პარკ რეინჯერსის" მთავარი სამიზნეა და ფეხბურთელმა შესაძლოა იანვარში დატოვოს ლიგა 1-ის გუნდი და სათამაშოდ პრემიერლიგაში გადავიდეს. 25 წლის ფეხბურთელი ამ სეზონში ნამდვილად ვერ ბრწყინავს, რისი დასტურიც მისი სტატისტიკაა – პირველი გოლი რემიმ ოთხშაბათს, "ლიონს" გაუტანა, არადა ეს უკვე მისი მე-10 მატჩი იყო ამ ჩემპიონატში.

ლონდონელთა ახალ მთავარ მწვრთნელ **ჰარი რედნაპს** რემი ძალიან მოსწონს და შეტევის გაძლიერებას სწორედ ფრანგი ფორვარდით აპირებს. შეგახსენებთ, რომ "ქუინზ პარკი" 14 ტურის შემდეგ, 5 ქულით ბოლო პოზიციაზეა და ამ სეზონში ჯერ მოგება არ აქვს.

სკოლარი უკვე ნაკრების მწვრთნელია

როგორც გუშინ მოგახსენეთ, ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** უნდა გამხდარიყო. პრესით გავრცელებული ცნობა სრული სიმართლე აღმოჩნდა და გუშინ, 64 წლის სპეციალისტი "სელესაოს" დამრიგებლის პოსტზე ოფიციალურად წარადგინეს. გარდა ამისა, ბრაზილიის ნაკრების ტექნიკური დირექტორი **კარლოს ალბერტო პარეირა** გახდა.

პრესკონფერენციაზე, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ჟოზე მარია მარინმა** განაცხადა: "*ძალიან ბევრი ვიფიქრეთ და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ეროვნული ნაკრები ლუიშ ფელიპე სკოლარის და კარლოს ალბერტო პარეირას ჩავაბაროთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება, მომავალი წლის კონფედერაციის თასზე და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას მოგვიტანს*".

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ სპეციალისტებმა მოაგებინეს ბრაზილიის ნაკრებს ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონატი. სკოლარი "სელესაოს" მწვრთნელი 2002 წლის მუნდიალზე იყო, ხოლო 69 წლის კარლოს ალბერტო პარეირა ნაკრებს 1994 წელს ხელმძღვანელობდა.

"*ძალიან ბედნიერი ვარ, ნაკრებში დაბრუნების საშუალება რომ მომეცა. ასევე მიხარია ის, რომ მუშაობა კარლოს ალბერტო პარეირასთან ერთად მომიწევს*" – განაცხადა სკოლარიმ.

"*ჩემთვის ეს უკვე მეხუთე მსოფლიოს ჩემპიონატი იქნება. თავი პატარა ბავშვი მგონია, რომელიც დიდი ინტერესით ელის რა მოხდება მომავალში. ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება გახლავთ*" – ეს უკვე კარლოს ალბერტო პარეირას სიტყვებია.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში სკოლარი თავის პირველ შეხვედრას თებერვალში, ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარებს.

სკოლარისა და პარეირას პრეზენტაცია

● კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

სან პაულო–უნივ. კათოლიკა 0:0

(პირველი მატჩი 1:1)

სან პაულოში, "მორუმბიზე" კოპა სუდამერიკანას ნახევარფინალის საპასუხო მატჩი გაიმართა. ერთი კვირის წინ, ჩილეში გუნდებმა ფრედ, 1:1 ითამაშეს. ამ წყვილში ფავორიტი ისედაც "სან პაულო" იყო, ხოლო პირველი მატჩის შემდეგ, **ნეი ფრანკოს** გუნდის შანსები კიდევ უფრო გაიზარდა. საბოლოოდ, მასპინძლებმა ფავორიტის სტატუსი გაამართლეს და ფინალის საგზური მოიპოვეს, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ბევრი ელოდა.

ბრაზილიელებმა სტუმრების დამარცხება ვერ შეძლეს და ბოლო წუთამდე ნერვიულობამ მოუწიათ. "კათოლიკამ" მთელი ყურადღება დაცვას დაუთმო და შეტევაში იშვიათად მიდიოდა. შესანიშნავად ირჯებოდა სტუმართა მეკარე **კრისტოფერ ტოსელი**, რომელმაც პირველივე ტაიმში ორი ძალიან რთული ბურთი მოიგერია, როდესაც ჯერ **ოსვალდოს** არ გაატანინა, შემდეგ კი - **ლუიშ ფაბიანოს**. ამ უკანასკნელმა პირველ ტაიმში კიდევ ერთი კარგი შანსი ვერ გამოიყენა, ხოლო მეორე ტაიმში საერთოდ დაიკარგა. საუკეთესო თამაში ნამდვილად არ ჩაუტარებია **ლუკას მოურას**, რომელიც იანვარში "პარი სენ ჟერმენში" გადადის და მშობლიურ კლუბში ბოლო მატჩებს ატარებს.

საბოლოოდ, უგოლო ფრე, რომელმაც "სან პაულოს" ფინალისკენ მიმავალი გზა გაუხსნა. ბრაზილიელთა მეტოქე "მილიონარიოსი"-"ტიგრეს" დაპირისპირებაში უნდა გარკვეულიყო. ეს მატჩი თბილისის დროით გამთენიისას გაიმართა და მასზე ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ.

გვერდი მოამზადა

ტატო ბაციკაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის შეჯამება

როგორც ძველ დროში

ბაიერნი უკვე შემოდგომის ჩემპიონია, ბაიერი - პირველი, მაგრამ უიმედო მდევარი

ლევერკუზენის მწვრთნელები: სამი ჰიიპია და საშა ლევანდოვსკი

ბუნდესლიგის მე-14 ტურმა შემოდგომის ჩემპიონი ნაადრევად გამოავლინა: სეზონის პირველი ნახევრის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე „ბაიერნი" პირველი წრის გამარჯვებულია. ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ არა ამ ტურში, მოვლენები კი დორტმუნდის „ბორუსიას" მოულოდნელმა ნაფორხილებამ დააჩქარა. ამასობაში, მეორე ადგილზე უკვე „ლევერკუზენია".

სამი ჰიიპია (და საშა ლევანდოვსკი)

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - 14 ტურის შემდეგ მეორე ადგილზე ლევერკუზენის „ბაიერია"! **სამი ჰიიპიას** და **საშა ლევანდოვსკის** მწვრთნელთა დუეტმა მოახერხა და „ვიცეკუზენი" აიყვანა იქ, სადაც ამ გუნდის ადგილია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ამ სეზონში „ბაიერნის" ჩემპიონობა გარდაუვალია. მართალია, „უნტერჰახინგი" ბუნდესლიგაში არ თამაშობს, მაგრამ „ლევერკუზენისთვის" „უნტერჰახინგებს" რა გამოლევს...

„ბაიერის" პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ფანები „ჰიიპია-ჰიიპიას" სკანდირებენ ხოლმე, არადა, ათასჯერ ითქვა, რომ ფინელს და ლევანდოვსკის თანაბარი უფლებები აქვთ, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციებზე კი უმეტესად ლევანდოვსკი დადის ხოლმე...

ტიმ ვიზე და მარკუს ბაბელი

ყველაფრის **ტიმ ვიზეზე** გადაბრალება ძალიან ადვილია, არასპორტული საქციელიცაა და თანაც, ასე ძალიან ხშირად ხდება. ამიტომაც, ყოველგვარი ირონიის გარეშე ვიტყვით: თუკი ჰოფენჰაიმელთა მხრიდან ვინმეზე შეიძლება ითქვას, გამარჯვებულიაო, მხოლოდ ვიზეზე! ტიმი ჯერ მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** მოკვეთა, მერე მენეჯერმა **მიულერმაც** თქვა, კარში დგომას არ იმსახურებსო. ვიზეც დივანზე წამოწვა და მშვიდად უყურა, როგორ გაუშვა მისმა შემცვლელმა **კოენ კასტეელსმა** ნიურნბერგში 4 გოლი. ამით დადასტურდა, რომ „ჰოფენჰაიმის" მთავარი პრობლემა სხვაგან უნდა ვეძებოთ და არა კარში. სხვათა შორის, მიულერმა მატჩის შემდეგ აღიარა, მეკარისა და კაპიტნის მოკვეთით ძალიან სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდითო, რაშიც ცამდე მართალია. ეჭვი გვაქვს, ამ სიტუაციას ბაბელი შეეწირება.

დიდ ბაიერნთან ჰატარა ფრაიბურგს...

„ბაიერნთან" მატჩის შემდეგ „ფრაიბურგის" თავკაცმა, 47 წლის **კრისტიან შტრაიხმა** ემოციებზე კონტროლი დაკარგა და „სკაის" რეპორტიორს კინაღამ მიკროფონი დაუღეჭა. პრინციპში მიზეზიც ჰქონდა - მეტ-ნაკლებად.

„ამ მატჩის არც ერთი სცენის ნახვა არ მინდა! ორ კვირაში ერთხელ ამა ზრზენი სცენების ყურება მიწევს იმის შესახებ, როგორ მოქმედებენ მსაჯები სადავო ეპიზოდებში ჩვენს წინააღმდეგ. არაფერსაც არ ვიტყვი, გასაგებია? ჩვენ უბრალოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ, როგორც ლომები და ვნახოთ, გავარდება თუ არა „ფრაიბურგი". ყვითელი ბარათი, წითელი ბარათი - იცით, რას გეტყვით, ამაზე კომენტარი სხვებმა გააკეთონ. დღეს „ბაიერნთან" მაგრად ვიბრძოლეთ და ასე იქნება ბოლო ტურამდე. მნიშვნელობა არა აქვს, რა და როგორ იქნება, ჩვენ ასე ვიბრძოლებთ ბოლო ტურამდე და ვნახოთ, დაქვეითდება თუ არა „ფრაიბურგი" მეორე ბუნდესლიგაში," - ღრიალებდა შტრაიხი.

რამ გააცოფა ბრაისგაუელთა თავკაცი? პენალტმა, რომლითაც **თომას მიულერმა** ანგარიში გახსნა? ვერ ვიტყვით, რომ თერთმეტმეტრიანი არ იყო. **დიანიეს** გაძევებამ? ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ეს უკანასკნელი წითელ ბარათს არ იმსახურებდა. იქნებ იმან, რომ **ხავი მარტინესს** რეკორდმაისტერის საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა? ამ ეპიზოდისთვის „ბაიერნის" კარში პენალტის დანიშვნა ნამდვილად შეიძლებოდა.

შტრაიხს არ უთქვამს, ვის არ უნდა, რომ „ფრაიბურგი" ელიტაში თამაშობდეს.

ფრანკ რიბერი და ჯეი-ჯეი ოკოჩა

როგორც ჩანს, **ფრანკ რიბერის** ხელში 1994/95 წლების სეზონის ვიდეოჩანაწერები ჩაუვარდა, რადგან მისი სოლო-რეიდის მცდელობა „ფრაიბურგის" უკანა ხაზის წინააღმდეგ გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა **ჯეი-ჯეი ოკოჩას** საუკუნის გოლს, რომელიც ნიგერიელმა მაშინ **ოლივერ კანის** „კარლსრუეს" გაუტანა. თუმცა ფრანგმა ბურთი დაკარგა და ისტორიაში ვერ შევიდა.

შალკეს კრიზისი

„შალკე" ჰამბურგში 1:3 დამარცხდა და შეიძლება ითქვას, რომ კრიზისშია, რადგან **ჰუუბ სტევენსის** ბიჭებმა ბოლო ხუთ ტურში მხოლოდ ოთხ ქულას მოუყარეს თავი და გელზენკირხენულ პუბლიკასაც უკვე დაავიწყდა ის, რომ გუნდმა სეზონი კარგად დაიწყო. შესაბამისად, ჰოლანდიელი მწვრთნელი საშინელ ხასიათზეა. კითხვაზე, რატომ დამარცხდა „შალკე" ჰამბურგში, სტევენსმა ასე უპასუხა: *„იმიტომ, რომ „ჰამბურგმა" სამი გოლი გაიტანა, ჩვენ - ერთი."*

ამას მოჰყვა ჟურნალისტის მეორე კითხვა იმის შესახებ, ნერვიულობს თუ არა სტევენსი: *„მე რომ არ ვინერვიულო, თქვენ ხომ მაინც ინერვიულებთ..."*

ფაქტია, რომ ჰოლანდიელს ბევრი საფიქრალი და სანერვიულო აქვს. ამ ეტაპზე მისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი მეკარეა - 22 წლის **ლარს უნერშტალი** ბოლო დროს ბევრ შეცდომას უშვებს, „ჰამბურგთან" შეხვედრაში კი მის სინდისზე პირველი გოლი იყო. შესაბამისად, გაღვივდა დისკუსია იმის შესახებ, რომ უმჯობესია, „შალკეს" კარი **ტიმო ჰილდებრანდმა** დაიცვას. გარდა ამისა, კრიტიკოსები „შალკეს" ტაქტიკა-სტრატეგიას უსისტემოს უწოდებენ. ფაქტია ისიც, რომ რაც უფრო ხშირია წარუმატებლობები, მით უფრო საეჭვო ხდება გოლეადორ **კლაას-იან ჰუნტელაართან** ახალი კონტრაქტის გაფორმება და თანაც, ბოლო დროს სტევენსს ბევრი სათადარიგო ფეხბურთელი გაუნაწყენდა. პირველ რიგში ეს ახალწვეულ **ბარნეტას** ეხება - შვეიცარიელი უკმაყოფილოა იმით, რომ მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს.

მიუნხენელებმა პირველი წრის მოგება მე-14 ტურში გაინაღდეს

ხუან არანგო

მე-14 ტურის შემდეგ მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ისედაც დაფასებული გარემარბი **ხუან არანგო** კიდევ უფრო მეტად დაფასდა, რადგან კიდევ ერთხელ გაიტანა ისეთი გოლი, როგორიც ყოველთვის გვახსენებს ხოლმე, რატომ გვიყვარს სპორტის ეს სახეობა. 50-მეტრიანი პასის შემდეგ საჯარიმოს კუთხიდან ბურთი მეტოქის კარში გადაგზავნა და რომ არა **კასტროს** დუბლი, უდავოდ ტურის გმირის წოდებას დაიმსახურებდა.

საუკეთესო ფეხბურთელები

XIV ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	შეფასება	ს/შ
1. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	9	2.00
2. რენე ადლერი	ჰამბურგი	14	2.18
3. კევინ ტრაპი	აინტრახტი	14	2.21
4. აარონ ჰანტი	ვერდერი	14	2.39
5. თომას მიულერი	ბაიერნი	13	2.46
6. სებასტიან როდე	აინტრახტი	14	2.50
7. მარიო გიოტცე	ბორუსია (დ)	12	2.55
8. დიეგო გენალიო	ვოლფსბურგი	14	2.57
9. ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი	13	2.63
10. ფაბიან გიზერი	ფორტუნა	14	2.68

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. თომას მიულერი	ბაიერნი	13	8	8	16
2. როგერ ლევანდოვსკი	ბორუსია (დ)	13	9	3	12
3. შტეფან კისლინგი	ლევერკუზენი	14	8	3	11
4. აარონ ჰანტი	ვერდერი	14	6	4	10
5. ალექსენდრ ჟუტი	ჰანოვერი	12	3	7	10
6. ტონი კროოსი	ბაიერნი	14	5	5	10
7. მარიო მანჟუკიჩი	ბაიერნი	12	9	1	10
8. ალექსანდერ მაიერი	აინტრახტი	14	9	1	10
9. მარკო როისი	ბორუსია (დ)	14	5	5	10
10. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	9	4	6	10

ტურის გმირი

გონსალო კასტრო (ლევერკუზენი)

დღეს უკვე ვხვდებით, რამდენს კარგავდა ბუნდესლიგა ადრე, როცა ლევერკუზენის მწვრთნელები **გონსალო კასტროს** მუდმივად მარჯვენა, ან მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდნენ. მართალია, შიგადაშიგ ძველი დამრიგებლებიც ამწესებდნენ ნახევარდაცვაში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა „ლევერკუზენს" შუა ხაზში უჭირდა. ახლა კი, **საშა ლევანდოვსკისა** და **სამი ჰიიპიას** დუეტმა კასტროს ადგილი მუდმივად ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე მიუჩინა და სწრაფი და ტექნიკური კასტროც ისე ათამაშდა, მთელი საფეხბურთო გერმანია გაოცებულია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფეხბურთელი „ლევერკუზენისთვის" აქამდე არასდროს ყოფილა ისე ძვირფასი, როგორც დღესაა. კასტროს უკვე ხუთი გოლი აქვს გატანილი, „ვერდერთან" 4:1-ზე მოგებულ მატჩში კი დუბლი შეასრულა. დიდი შანსია, რომ კასტრო გერმანიის ნაკრებშიც მალე დაბრუნდეს.

ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



● მოსაზრება

პლატინის იდეას მბრძოლები ჰყავს

რუმენიგე რეფორმის წინააღმდეგია

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ უეფა ევროპალიგის გაუქმებაზე და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 64 კლუბის შეყვანაზე ფიქრობს. ეს ინფორმაცია თვით უეფა-ს პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** დაადასტურა, მაგრამ იქვე თქვა, ჯერ არაა გარკვეული, როდის უნდა მივიღოთ გადაწყვეტილებაო. გუშინ ამ საკითხს მიუხხენის „ბაიერნის" პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე კრიტიკულად გამოეხმაურა.

„ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივემხრობით იმ იდეას, რომლის მიხედვითაც ჩემპიონთა ლიგაში რაოდენობა ხარისხის ხარჯზე უნდა გაიზარდოს. ჩვენ არ ვეთანხმებით ევროპალიგის გაუქმების იდეას და კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ჩემპიონთა ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდას," - განაცხადა რუმენიგემ მოსკოვში, ევროპის კლუბების ასოციაციის (ECA) სხდომაზე მოსკოვში.

● ალიარება

კაგავა აზიის საუკეთესოა

შინჯი კაგავა

AFC-მ იაპონელი **შინჯი კაგავა** აზიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. „მანჩესტერ იუნაიტედის" შემტევმა ნახევარმცველმა უკან მოიტოვა თანამემამულე **იუტო ნაგატომო** (მილანის „ინტერი") და ავსტრალიელი მეკარე **მარკ შვარცერი** (ფულჰემი).

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს 23 წლის კაგავამ დორტმუნდის „ბორუსიასთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობა იზეიმა და გერმანიის თასიც მოიგო, ზაფხულში კი „მანჩესტერში" გადაბარგდა. ამჟამად კაგავა ტრავმირებულია - 23 ოქტომბერს, „ბრაგასთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში (3:2) დაშავდა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

● ბომბარდირი

ვილია 300 და მეჯი

ელ გუაბის ანბარიზზე ბარსაში 39 გოლია

„ბარსელონას" ფორვარდმა **დავიდ ვილიამ** მოარჩინა „ლიგა ტარეზეს" ლიდერობა „სამეფო თასის" მაგრამ, „ალავესის" წინააღმდეგ გამარჯდა. 30 წლის ელ გუაბემ მეორე ტაიმში დუბლი შეასრულა ბასკური კლუბის კარში, აქედან პირველი გოლი მისთვის საოცარი, მე-300 გოლი პროფესიულ კარიერაში. მეგახსენებთო, რომ ის ესპანეთის ნაკრების ისტორიაში მთავარი გოლეადორია.

ეროვნული ნათლობის მიხედვით	
ვალენსია	129
ესპანეთი	53
სარაგოსი	41
ბარსელონა	39
სარაბრეა	38
ვილია ბოლოდ ტროფიების მიხედვით	
ლა ლიგა	166
ეროვნული	63
ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ სესკ ფაბრეგასთან

ლეო ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა

სესკ ფაბრეგასი ინტერვიუში ჰყვება იმის შესახებ, თუ რატომ არის „ბარსელონას“ თადარიგში ყოფნა „არსენალის“ კაპიტნობაზე უკეთესი...

- "ბარსელონა" სამ ტურნირზე თამაშობს, მაგრამ თქვენ უფრო ხშირად შეცვლაზე შედიხართ მოედანზე?

- მე როტაციაში ვარ.

- და არ გეხამუშებათ ის, რომ კლუბში უფრო გიჭირთ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა, ვიდრე ესპანეთის ნაკრებში?

- შეიძლება ასეა, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ სწორედ ჩემს პოზიციაზე თამაშობს ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი. ნაკრებში კი ყველაფერი სხვანაირადაა, რადგან იქ არ გვყავს მესი,

- მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში იმდენი ამპლუა გამოიცვალეთ, რომ შეგეძლოთ შეგერჩიათ პოზიცია, სადაც მესი არ იქნებოდა!

- დიახ, მე მცველად ვიწყებდი თამაშს "ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში, შემდეგ მოედნის ცენტრში დამაყენეს, მოგვიანებით ვენგერმა შეტევასთან ახლოს გადამიყვანა: 4-2-3-1 სისტემაში თავდამსხმელის უკან ვმოქმედებდი. თუმცა ესპანეთის ნაკრებში საქართველოსთან მატჩში სოლდადოს გვერდით ვთამაშობდი - მეორე ფორვარდი ვიყავი. 4-3-3 სისტემაში მომწონს მოედნის ცენტრიდან შეტევის წინა ხაზზე გადასვლა, მეცხრე ნომრად, როგორც ეს გასულ წელს იყო.

- შარშან, 11 გოლი გაიტანეთ სამი თვის განმავლობაში და ერთი მომენტი, ლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყავით. ახლა კი თითქმის აღარ იტანთ გოლებს. რაშია საქმე?

- ხომ აგიხსენით: შარშან ფაქტობრივად თავდამსხმელის პოზიციაზე ვთამაშობდი, მაგრამ ახლა უკვე სხვა ამოცანა მაქვს – პასების დარიგება, პარტნიორებისთვის ამოსუნთქვის საშუალება, საგოლე მომენტების შექმნა, შესაძლო კომბინაციების გათვლა, ჩაჭრაზე თამაში. მაგრამ მე ციფრებს არ მივსდევ და საერთოდ არ ვნერვიულობ იმის გამო, რომ გოლებს ვერ ვიტანთ. ბოლოს და ბოლოს, მე არასოდეს ვყოფილვარ სუპერბომბარდირი, რომელსაც 30 გოლი გააქვს სეზონში.

- სამაგიეროდ, ყოველთვის თამაშობდით ცენტრალურ ზონაში. ახლა კი ფლანგებზეც ჩნდებით, თანაც დაცვასთან ახლოს.

- მიყვარს მოედანზე ცვლილებები. მითამაშია მეოთხე, მერვე, მეცხრე და მეათე პოზიციებზე. სკოლაში, როცა მინიფეხბურთს ვთამაშობდით, დაცვაშიც ვმოქმედებდი და შეტევაშიც. შვიდი-რვა წლის ასაკში კი "ბარსაში" ცენტრფორვარდობა ვცადე. წარმოგიდგენიათ, ორი გოლი გავიტანე, მაგრამ მაინც არ ამიყვანეს.

- საბოლოოდ, უკეთესი გამოვიდა – რომ აეყვანეთ, ბავშვობიდანვე მოგიწევდათ მესისთან კონკურენცია. მზად იყავით ამისთვის 15 წლის წინ? საერთოდ, ბევრი რამ არის საერთო დღევანდელ სესკსა და მაშინდელ პატარა ბიჭს შორის?

- ბევრი. ეს ხომ ერთი და იგივე ადამიანია. დიდად არ შევცვლილვარ. კიდევ ის მახსოვს - ბავშვობაში მამასთან ერთად ვაგორებდი ბურთს და დიდ სიამოვნებას ვიღებდი. შემეძლო მუდმივად მეთამაშა, საათობით დავრბოდი ქუჩაში თანაკლასელებთან და მეგობრებთან ერთად. მაშინ მამაჩემმა ჩემთვის ხუთკაციანი გუნდი შეკრიბა. სკოლიდან სახლში შერბენასაც ვერ ვასწრებდი, ისე მინდოდა ბურთთან შეხება. ხანდახან დილით, სკოლამდე ვვარჯიშობდი და საღამოსაც მიწევდა თამაში. უქმე დღეებზე აღარაფერს ვამბობ. ჩემს ცხოვრებაში იყო მხოლოდ სკოლა და ფეხბურთი. მშვენიერი დრო იყო.

- წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაზე "ბარსა" მთელ რიგ შეხვედრებში ვერ ბრწყინავდა. ასე იყო "სპარტაკთან", "სელტიკთან"...

- თავიდან არ ვიყავით ფორმაში, თუმცა "სპარტაკთან" ნახსენები შეხვედრა მაინც მოვიგეთ.

- ანუ, "ბარსელონა" ისევ ფავორიტია?

- რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ლიდერებს შორის ისევ ის გუნდები არიან, რომლებიც არაერთხელ იყვნენ ფინალში: ჩვენ, "რეალი", "ბაიერნი", "მილანი", "მანჩესტერ იუნაიტედი"...

- "იუვენტუსი" არ დაასახელეთ.

- "იუვენტუსი"? შესაძლებელია. შარშან მათ სუპერსეზონი გამოუვიდათ – მოიგეს ჩემპიონატი ისეთი გმირებით, როგორებიც არიან პირლო, მარკიზიო, მატრი, ვიდალი, ბუფონი, კიელინი. საერთოდ, "იუვენტუსთან" ერთი ბედნიერი მოგონება მაკავშირებს: 2006 წელს, ლონდონში „არსენალმა“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მოუგო, არადა, ეს იყო კაპელოს გუნდი იბაჰიმოვიჩითა და ვიეირათი. მე მაშინ გოლი გავიტანე, რომელიც დღემდე მახსოვს. რაც შეეხებათ ფავორიტებს, ჩემპიონთა ლიგაზე ყოველ წელს ახალი გუნდი იგებს, ასე რომ, ის სია, რომელიც ჩამოგითვალეთ, შეიძლება უფრო გრძელი იყოს.

- ესპანეთის ჩემპიონატში ყველაფერი გაცილებით ერთფეროვანია. 2004 წლიდან მოყოლებული, იქ ან „ბარსელონა“ იმარჯვებს ან „რეალი“. მოსაწყენი არ არის?

- არა. იცით, ესპანეთში დაბრუნებულს ყველაზე მეტად რა გამიკვირდა? უცებ მივხვდი, რომ ჩვენი ლიგა ინგლისურზე რთულია. რა თქმა უნდა, „ბარსელონა“ და „რეალი“ სუპერკლუბები არიან - მათ სიმაღლეებს ვერავინ შესწვდება. სამაგიეროდ, პრემიერლიგის მოგება უფრო იოლია, ვიდრე პრიმერასი. აი, ასეთი პარადოქსია. ინგლისში ჩემპიონატი უფრო თანაბარია. იქ შეიძლება ნააგო ხუთიექვსი მატჩი და მაინც შეინარჩუნო პირველობის შანსი - კონკურენტებიც ასევე დაკარგავენ ქულებს. აქ კი არც ჩვენ და არც მადრიდელებს არ აქვთ თუნდაც ფრეს თამაშის უფლება. ერთი წაფორხილება და, შესაძლოა, ოქროს მედლების გარეშე დარჩე. ისევ და ისევ, ტაქტიკურად ესპანური გუნდები ინგლისურზე უკეთ არიან მომზადებულნი. აქ უფრო რთულია გოლის გატანა, პასების მიცემა, მოძრაობის ნაკლები თავისუფლებაა მინდორზე. მოთამაშეებს უფრო მეტი კონცენტრაცია სჭირდებათ. აქ გუნდები უფრო ნაკლებ შეცდომებს უშვებენ. ინგლისში, შესაძლოა, მეტი მხიარულებაა, თამაშიც საინტერესოა - ნაკლებად დახურული და შედარებით მარტივი თამაშის სტილს მისდევენ. ესპანეთში კი უფრო მეტი უნდა იმუშაოთ თავით, ვიდრე ფეხებით.

- „ბარსელონა“ ძალიან შეიცვალა გვარდიოლას წასვლის შემდეგ?

- ჩემი აზრით, ეს იგივე გუნდია. ვაკეთებთ იმავეს, რასაც პეპის დროს ვაკეთებდით: ისევე ვემზადებით, ვვარჯიშობთ, განვიხილავთ მატჩებს, ვარჩევთ ტაქტიკას და კერძებსაც კი იმავეს მივირთმევთ. ის, რითაც გვარდიოლა და ვილანოვა განსხვავდებიან ერთმანეთისგან - არის ურთიერთობის მანერა. მაგრამ ეს ნორმალურია.

- თქვენთვის მოულოდნელი იყო გვარდიოლას წასვლა?

- დიახ! როცა აპრილში პრესკონფერენცია მოიწვიეს, ჩვენ არაფერზე ეჭვი არ გვქონდა. ამას გონებაშიც ვერ გავივლებდით. ასევე მოულოდნელი იყო ტიტოს დანიშვნა. მაგრამ ეს სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ. მას თავადაც ავირჩევდით, ჩვენთვის რომ ეკითხათ. ფეხბურთელებისთვის ეს ნიშანი იყო იმისა, რომ კლუბის პოლიტიკა არ იცვლება.

- რას წარმოადგენს ტიტო ვილანოვა როგორც მწვრთნელი და როგორც ადამიანი?

- ტიტოს დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ 2002 წლიდან, როცა ის „ბარსელონას“ დუბლშემადგენლობას ავარჯიშებდა. მე, მესი და პიკე ერთად ვთამაშობდით იმ გუნდში და მთელი სეზონის განმავლობაში არც ერთი მატჩი არ წაგვიგია. მას შემდეგ, ტიტო არ შეცვლილა, ის ყოველთვის ძალიან მშვიდი და გაწონასწორებულია. დიდი პროფესიონალია, ფეხბურთზე ყველაფერი იცის, ცდილობს ყველაფერი აგიხსნას, თანაც წვრილმანებში. ის ძალიან ჭკვიანია.

- ერთხელ თქვით, რომ „ბარსელონაში“ გადასვლა თქვენთვის ცხოვრების რადიკალურად შეცვლას ნიშნავდა.

- პირველ რიგში ფეხბურთსა და ჩემპიონატს ვგულისხმობდი. ესპანეთში მოთამაშეების მიმართ პრესინგი უფრო მაღალია. შენ უნდა იყო ძალიან სწრაფი, მომენტალურად მიიღო გადაწყვეტილება მინდორზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიტიკის ობიექტი გახდები. ეს საქმე აქ უყვართ.

- ჩვეულებრივ ცხოვრებაში?

- 16 წლის ვიყავი, როცა ბარსელონადან გავემგზავრე. წარმოიდგინეთ 16 წლის ბიჭი, მარტო ისეთ დიდ და უცხო ქალაქში, როგორიც ლონდონია. მე იქ გავიზარდე, დავკაცდი და სამშობლოში უკვე მოწიფულ მამაკაცად დავბრუნდი. ეს გასაოგნებელი ქალაქია, ძალიან მშვიდი, შესაძლებელია უბრალოდ გამოხვიდე ქუჩაში, წახვიდე კინოში ან თეატრში, რესტორანში ან ბარში. თუმცა სახლიდან იშვიათად გამოვდივარ - ხანდახან მეგობრებთან ერთად თუ გავისეირნებ, მაგრამ მეგობარი არც ისე ბევრი მყავს - ეს არის ადამიანების ვიწრო და მუდმივი წრე. ჩვეულებრივ, შინ დროს კომპიუტერთან და ვიდეოთამაშებთან ვატარებ.

- რა შთაბეჭდილება დაგრჩათ არსენ ვენგერზე?

- ის ჩემთვის მასწავლებელია. არა, უფრო მეტი - ის არის მამაჩემი სპორტში. მან ყველაფერი მომცა. მისი წყალობით, 16 წლის ასაკში დავიწყე თამაში, 17 წლისა პრემიერლიგაში მოვხვდი, 21 წლისა კაპიტანი ვიყავი. როცა 2006 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ჩემი „ბარსელონას“ წინააღმდეგ ვითამაშე, მხოლოდ 19 წლის ვიყავი. ვენგერი მაშინ მარწმუნებდა, რომ გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი ვიყავი, მაიძულებდა პასუხისმგებლობა მეგრძნო. მან ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა. თუ საქმე ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო, ბევრს მელაპარაკებოდა და ყოველთვის სჯეროდა ჩემი, არასოდეს მაძლევდა პესიმიზმის უფლებას. დიახ, ფეხბურთში მნიშვნელოვანია შესაძლებლობები, ნიჭი, მაგრამ თუ მეცადინეობ ნიჭიერ მწვრთნელთან, მაშინ შეიძლება მართლაც გენიალური მოთამაშე გახდე. ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მის გვერდით იყოს ადამიანი, რომელიც ყოველდღე გეტყვის: „მე შენი მჯერა, ასე გააგრძელე! ეჭვი არ შეგეპაროს!“ ვენგერი ჩემთვის სწორედ ასეთი ადამიანი იყო.

- თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია მწვრთნელი?

- რა თქმა უნდა! თვით გენიალური სპორტსმენიც შეიძლება დაიკარგოს გუნდის შეცვლით. ყოველთვის არსებობს რაღაც პრობლემა, ვერ ახერხებ ადაპტირებას, ვერავინ გეხმარება. ვენგერმა მთლიანად დაუჭირა მხარი ჩემს სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილებას. მადლობა მას იმისთვის, რომ ხელი არ შეუშალა „ბარსელონაში“ დაბრუნებას.

- რვა წლის განმავლობაში ერთხელაც არ ინანეთ, რომ ლონდონში გადახვედით სათამაშოდ?

- არასოდეს, თუნდაც ყველაზე მძიმე მომენტებში. თუმცა, რეალურად რთული მომენტები არ მქონია. ლონდონში მიმართლებდა. თამაშში ვიხვეწებოდი, მწვრთნელის მხრიდან ნდობა იზრდებოდა. და მთელი ამ დროის განმავლობაში ბედნიერი ვიყავი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ უდიდესი გამოცდილება მივიღე. არაფერი მოდის ასე უბრალოდ, საჩუქრის სახით. ბევრი მუშაობა გიწევს რაღაცის მისაღწევად. საერთოდ, 20 წლის ასაკში მარტო ცხოვრება - ფანტასტიკაა! მით უმეტეს, ასეთ მეგაპოლისში.

- ეს გასაგებიცაა, თქვენ ხომ სოფელში გაიზარდეთ?!

- არენის-დე-მარი სოფელი არ არის, ის დაბაა, თუმცა საკმაოდ პატარა. იქ ყველა ერთმანეთს იცნობს. ახლა კი გახსნილი ადამიანი გავხდი, მსოფლიოს მოქალაქე, ვლაპარაკობ ინგლისურად, ბევრ ქვეყანაში მყავს მეგობარი, თანაც არა მხოლოდ ფეხბურთელები. მაგალითად, ქალბატონი ნორეენი, რომელთანაც პირველი ორი წელი ვიცხოვრე ლონდონში. მასთან, როგორც შინ, ისე დაბრუნება შემიძლია.

- საგოლე მომენტების მხრივ, „არსენალში“ მეტი კომფორტი იყო?

- შემიძლია ვთქვა, რომ იქ მეტი თავისუფლება მქონდა, უფრო მეტს ვმოძრაობდი მინდორზე. მაგრამ აქ სულ სხვა ამოცანებია, სხვა გუნდია, ასე რომ, ყველაფერი ნორმალურადაა. გავიმეორებ - ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ დავბრუნდი.

- მით უმეტეს, რომ გვარდიოლასთან დაბრუნდით?

- დიახ. პეპი ბავშვობაში ჩემი კერპი იყო, სწორედ მის გამო ვატარებ მე-4 ნომერს. როცა 11 წლის ასაკში „ბარსელონაში“ მოვხვდი, პეპი გუნდის კაპიტანი იყო. მახსოვს ის დღე - 1992 წლის ფინალი, როცა „ბარსამ“ პირველად მოიგო ჩემპიონთა ლიგა. ეს ზღაპარი იყო! ვამაყობ იმით, რომ ის ჩემი მწვრთნელი იყო.

- ყველა ინტერვიუში ამბობთ, რომ აქ ძველი მეგობრები გყავთ - პიკე და მესი.

- მართლაც ასეა! თუმცა, ამ წლებში ბევრი რამ შეიცვალა, უფრო ნაკლები თავისუფალი დრო გვრჩება, ყველას თავისი ცხოვრება აქვს. მაგრამ ეს ნორმალურია. უკვე 10 წელი გავიდა.

- მესი როგორია პირად ურთიერთობებში?

- ლეო - მხიარული ბიჭია, თუმცა სხვებიც ასეთები არიან. მას უყვარს ლაპარაკი, ბევრს და კარგად ხუმრობს. ამასთან, მოკრძალებულია და დროდადრო მორცხვიც კი. ბავშვობიდან ასეთი იყო.

- მის გამო არ გაქვთ ძირითადში მუდმივი ადგილი.

- ის ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოა. იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ შინ დავბრუნდი.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კრივი

ქართველები დღეს იწყებენ



სომხეთის დედაქალაქში გუშინ დაიწყო და 7 დეკემბრამდე გაგრძელდება ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 7 წარმომადგენელი იასპარეზებს. წილისყრის შედეგად შეჯიბრების პირველ დღეს ქართველი სპორტსმენები რინგზე არ გამოსულან. დღეს 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში ძალებს მოსინჯავს **გიორგი გაბოძე,** რომელიც ირლანდიელ კურტ უოლფერს დაუპირისპირდება. 81 კილოში **ალექსანდრე დოკვაძის** მეტოქე იქნება აზერბაიჯანელი რაუფ რაჰიმოვი, ხოლო 91 კილოგრამში **დათა კვირკველია** სომეხ რაფაელ სიმონიანს შეხვდება. ამ წყვილში გამარჯვებული 2 დეკემბერს ავსტრალიელ ჯაი ტაპუ ოპეტაიასთან გაარკვევს ურთიერთობას.

დანარჩენი ქართველი მოკრივეები მედლებისთვის ბრძოლაში პირველ დეკემბერს ჩაებმებიან. **ალეკო ლურსმანაშვილი** (56) პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში ვლადისლავ ვეტოშკინსა (უკრაინა) და ფრედი ორტეზს (პუერტორიკო) შორის უძლიერესს შეხვდება. 64 კილოში **ჯემალ შალამბერიძეც** თავისუფალია სასტარტო შეხვედრიდან, სადაც მისი სავარაუდო მეტოქეები - მოვლუდ ბაიარსლანოვი (კანადა) და ხულიო როდრიგესი (აშშ) იბრძოლებენ. დანარჩენ ორ წონაში კი ჩვენებურთა მოცილეები ცნობილია: 69 კგ. **კონსტანტინე ხვისტანი** - ენთი ჰიტალა (ფინეთი), 75 კგ. **ბერიკა მხეცაძე** - ბიეკნურ ხალი (მონგოლეთი).

ვაჟა დანელია

● წყალბურთი

პირველი წრე ჩამთავრდა

წყალბურთელ ვაჟთა 21 გუნდი იბრძვის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის 16 საგზურისთვის. ეს კლუბები, რომლებმაც პირველი წრის ბოლო ორთაბრძოლები გამართეს, 4 ჯგუფში არიან განთესილნი. **A ჯგუფში,** უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი" შინ საბერძნეთის „ვულიაგმენთან" 5:15 დამარცხდა. ეს არც ყოფილა მოულოდნელი, რადგან საბერძნეთის ოთხგზის ჩემპიონი არა მარტო ჯგუფის, არამედ ჩემპიონთა ლიგის 2012-2013 წლების გათამაშების ფავორიტია. ელინელებს მეტოქეობას უწევს რუსეთის არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი ვოლგოგრადის „სპარტაკი", რომელმაც განვლილ ტურში გერმანიის „ვასპო-98"-ს სძლია - 12:4. უნგრეთის „ეგერმა", რომელთანაც „ლიგამუსის" გამოტოვებული მატჩი 2013 წლისთვის გადაიდო, ჰოლანდიის „შუურმანს" აჯობა - 13:4.

პირველი წრის შემდეგ A ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

	თ	მ	უ	წ	ბ	ქ
ვულიაგმენი	5	5	0	0	67:27	15
სპარტაკი	5	4	0	1	57:35	12
ეგერი	4	2	0	2	44:30	6
შუურმანი	5	2	0	3	32:54	6
ვასპო-98	5	1	0	4	25:57	3
ლიგამუსი	4	0	0	4	28:50	0

მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები 19 დეკემბერს გაიმართება. „ლიგამუსი" სტუმრად ეთამაშება „ვულიაგმენს". „შუურმანი" „ეგერს" უმასპინძლებს, „ვასპო-98" - „სპარტაკს".

B ჯგუფის ლიდერმა ხორვატიის „დუბროვნიკმა" ზედიზედ მე-4 გამარჯვება იზეიმა. ამჯერად შინ საბერძნეთის „ოლიმპიკოსს" აჯობა - 10:8, საფრანგეთის „მონპელიემ" შვეიცარიის „კრეუზლინგენს" მოუგო - 15:8.

„დუბროვნიკი" - 12 (63:23), „ოლიმპიაკოსი" - 9 (43:30), „ცრვენა ზვეზდა" - 6 (50:34), „მონპელიე" - 3 (32:43), „კრეუზლინგენი" - 0 (27:85).

19 დეკემბერს ითამაშებენ: „კრეუზლინგენი" - „მონპელიე", „ოლიმპიაკოსი" - „დუბროვნიკი".

C ჯგუფში უძლეველია ესპანეთის „ბარსელონიტა", რომელიც 12 ქულით ერთპიროვნული ლიდერია. პირველი წრის ბოლო ტურში ის ისვენებდა. დანარჩენი ოთხი გუნდის დაპირისპირება კი ასე დამთავრდა: „სინთეზი" (ყაზანი) - „ბრეშა" (იტალია) 9:4, „მარსელი" (საფრანგეთი) - „ვოვოდინა" (ნოვი სადი) 13:7.

„ბარსელონიტა" - 12 (41:20), „სინთეზი" - 6 (38:32), „მარსელი" - 6 (34:42), „ბრეშა" - 3 (29:43), „ვოვოდინა" - 3 (30:44).

19 დეკემბერი. „ვოვოდინა" - „მარსელი", „ბრეშა" - „სინთეზი".

D ჯგუფსაც ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი - უნგრეთის „ბეტონი", რომელმაც ოთხივე შეხვედრა მოიგო. პირველი წრის ბოლო ტურში მადიარებმა სტუმრად თურქეთის „გალათასარაის" აჯობეს - 6:4, ბერლინის „შპანდაუ-04"-მაც, ოღონდ შინ, ასევე ორი ბურთის სხვაობით რუმინეთის „ორადეა" დაამარცხა - 15:13.

„ბეტონი" - 12 (36:25), „პარტიზანი" - 7 (33:30), „გალათასარაი" - 4 (27:29), „შპანდაუ-04" - 3 (37:44), „ორადეა" - 3 (40:45).

19 დეკემბერი. „ბეტონი" - „გალათასარაი", „ორადეა" - „შპანდაუ-04".

ვაჟა დანელია

● თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ გენო პეტრიაშვილთან

მძიმე უფრო დამძიმდა

პეტრიაშვილი: ისინი ჩემთვის სამაგალითონი არიან

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში **გენო პეტრიაშვილის** ტრიუმფალურ გამოსვლაზე უკვე ვწერდით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ - 18 წლის ბიჭმა ნახევარფინალში მძიმე წონის ლიდერი, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი** დაამარცხა, ფინალში კი უდავოდ ძლიერ **გიორგი საკანდელიძეს** უბრალოდ კი არ აჯობა, ყოველმხრივ დაჯაბნა. თავად განსაჯეთ - ერთ პერიოდში 8:1 მოუგო, სამჯერ კი სამქულიანზე გადააგდო! ამ შეხვედრაში გორელ ფალავანს ყველაფერი გამოსდიოდა, თუმცა დაგვეთანხმებით, უვარჯიშებლად და უშრომლად ეს არ ხდება. ეს იმდენად ბრწყინვალე შეხვედრა იყო, დარბაზში მეორე დღესაც კი ლაპარაკობდნენ მასზე, ხოლო იმ წუთებში მაყურებელთა ოვაციამ კულმინაციას მიაღწია. ისევ გავიმეორებთ, რომ მსგავსი სილამაზის ორთაბრძოლას ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზეც ვერ ვნახავთ ხშირად და ის ნებისმიერი რანგის ტურნირს დაამშვენებდა. იმ პაექრობამ დაგვარწმუნა პეტრიაშვილის მრავალნაკადი მწვრთნელის - **ნუგზარ სხირელის** ოპტიმიზმში შეგირდის ოლიმპიური ჩემპიონობის შესახებ. ცხადია, შეგირდი ჯერ მზად არ არის ამხელა ტიტულის მოსაპოვებლად, მის ჭიდაობაში კვლავაც ბევრია დასახვეწი, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ ლაპარაკი 18 წლის მოზარდზეა, რომელიც მხოლოდ ახლა შეუდგა მწვერვალისკენ მიმავალ აღმართს. მთავარია, რომ მასში ამხელა ტიტულის მოსაპოვებლად საჭირო ნიჭი, ბუნებრივი მონაცემები დევს, დანარჩენი კი შრომისა და მონდომების შედეგია. ის უჩვეულოდ სწრაფია და ტექნიკური. და კიდევ ერთი პლუსი - მაღალსა და ხმელ-ხმელ ბიჭს წონაც ხელს უწყობს და ჯერჯერობით არათუ დაკლება სჭირდება, პირიქით, მომატებაც შეუძლია. ასაკთან ერთად ის აუცილებლად მოიმატებს წონაში, მაგრამ ამჟამინდელი მასა წონის კორექტირების საშუალებას მისცემს. მას მომატება კუნთოვანი და არა ცხიმოვანი მასის ხარჯზე შეუძლია, რაც ახლანდელი სისწრაფის შენარჩუნების საშუალებას მისცემს. ამასთან, ტექნიკაც მოსდგამს, იმ შეხვედრაში არც დაღლილა, ეს ყველაფერი კი კარგ კომბინაციას მოგვცემს დიდი წარმატებების მოსაპოვებლად.

ვიდევ ერთი ნიშანდობლივი ეპიზოდი იმ შეხვედრიდან, რაც კარგად ახასიათებს პეტრიაშვილს - მან წაგო პირველი პერიოდი, როცა საკანდელიძემ ბურთულით ბოძებული შანსი გამოიყენა. გენო მეორე პერიოდში ხალიჩაზე ბრუნდებოდა, სხირელმა (ის კონსულტანტადაც არ ეჯდა) მსაჯთა სექტორიდან რომ დაუძახა და ხელის ერთი მოძრაობით ანიშნა, ქვევიდან ეჭიდავეო. სხირელს სიტყვიერად არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჟესტით აჩვენა - დაახლოებით ისე, როგორც ფრენბურთელები ანიშნებენ ხოლმე ერთმანეთს. ეტყობა, მწვრთნელს და შეგირდს უსიტყვოდაც მშვენივრად ესმით ერთმანეთის, რადგან გენო მართლაც ფეხში შესვლებზე გადავიდა და ბენეფისიც მოიწყო... სხვათა შორის, მოძმანაშვილთან შეხვედრაშიც ეტყობოდა, რომ წინასწარ დასახული გეგმით ჭიდაობდა, ეს ყველაფერი კი გვაფიქრებინებს, რომ დამჯერი მოსწავლეცაა და სწრაფად ითვისებს ნასწავლს. *„სხირელი გამოცდილი მწვრთნელია და მართლაც კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ჭიდაობაც მასთან დავიწყე, არ მახსოვს, რამდენი წლის ვიყავი მაშინ, მაგრამ იქიდან მოყოლებული მავარჯიშებს. სხირელმა ზუსტად იცის, როდის რა ჯობია"* - ამბობს გენო.

პეტრიაშვილი თავმდაბალი ადამიანიც ჩანს - ხომ ასე კარგად იჭიდავა, მუდამ მეტოქეებს აქებდა და სულ იმას გაიძახოდა, ისინი ჩემთვის სამაგალითონი არიან, უბრალოდ, ახლა ისე მოხდა, მე გავიმარჯვეო. *„ჩემთვის დიდი სტიმულია ისეთ ფალავნებთან ჭიდაობა, როგორიც დავით მოძმანაშვილი და გიორგი საკანდელიძე არიან. მათთან შეხვედრა ყოველთვის გამიხარდება, რადგან ისინი ჩემთვის სამაგალითონი არიან. ორმაგად სასიამოვნო და გასახარია, რომ ოქროს მედალი ასეთ ფალავნებთან ჭიდაობაში მოვიპოვე. მოძმანაშვილის მიღწევები მოგეხსენებათ და საკანდელიძემ ზედიზედ მოიგო ოთხი ტურნირი. თან ერთ-ერთ მათგანში მეც მომიგო. ამ ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადე და წარმატებაზეც ვფიქრობდი, მაგრამ ასეთ კონკურენციაში მაინცდამაინც ოქროს დაგეგმვა ცოტა ძნელი იყო და ჩემპიონობას არც ველოდი. თან საქართველოს პირველობა ძლიერი შეჯიბრებაა, ხოლო მძიმე წონა ჩვენში ყოველთვის გამორჩეოდა ძლიერი ფალავნებით, ძველი თაობიდან მოყოლებული. ჩემი მთავარი მიზანი იყო, ბოლომდე მებრძოლა და მეჭიდავა, რაც ავასრულე კიდეც - არც ერთ შეხვედრაში არ მიფიქრია, რომ უნდა წამეგო. პირიქით - ყოველ ორთაბრძოლაში წარმატებისთვის გავდიოდი და ვცდილობდი, ბოლომდე გამომეყენებინა შესაძლებლობები. მიხარია, რომ ეს შევძელი"* - გვითხრა მან.

მაინც რა გახდა მისი ასეთი კარგი ჭიდაობის მთავარი მიზეზი? პეტრიაშვილმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და გვითხრა, რომ ბოლო თვეებში ვარჯიშში განსაკუთრებულად არაფერი შეუცვლია, ძველებურად აგრძელებდა მუშაობას, ახლა კი ისე მოხდა, რომ კონკურენტებზე მეტად გაუმართლა...

შემთხვევით არაფერი ხდება და მით უფრო - მეტოქეებზე იმხელა უპირატესობის მოპოვება. შემთხვევითი არც ისაა, რომ პეტრიაშვილი ცვლიდა ჭიდაობის სტილს არა მხოლოდ ცალკეულ შეხვედრებში, არამედ თვით კონკრეტული ორთაბრძოლისასაც. თამამად შეგვიძლია გვქონდეს იმედი, რომ მძიმე წონაში მაღალი დონის ფალავანი გამოგვიჩნდა, რომელსაც უმაღლესი მიღწევების მოპოვება ხელეწიფება. თუმცა კიდევ უფრო გასახარია, რომ ამ წონაში უჩვეულოდ გაიზარდა კონკურენცია. მოძმანაშვილი, პეტრიაშვილი, საკანდელიძე - ამ წონაში სხვებიც არიან კარგი ბიჭები, მაგრამ ეს სამეული უკვე იმ დონეზეა, მათზე არავინ, თვით წამყვანი საჭიდაო ქვეყნებიც არ იტყოდნენ უარს. ამ ტრიოდან ეროვნულ ნაკრებში ჯერჯერობით ტიტულოვანი მხოლოდ საკანდელიძეა, თუმცა სამივე მათგანს დღესვე შეუძლია ნებისმიერ შეჯიბრებაზე მედლის მოპოვება. მათ შორის - ოქროსიც. ამ წონაში თვით ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან საინტერესო ვითარება იქმნება ევროპის ჩემპიონატის ფონზე. მოგეხსენებათ, ამ პრესტიჟულ შეჯიბრებას გაისად, 19-24 მარტს, თბილისი უმასპინძლებს. დაგვეთანხმებით, ნაკრების ხელმძღვანელობას მძიმე წონაში არჩევანის გასაკეთებლად დიდი თავსატეხი გაუჩნდება. პეტრიაშვილს, როგორც ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს, უპირატესობა ექნება, მაგრამ მწვრთნელები შანსს დანარჩენებსაც მისცემენ. უეჭველია, რომ მის გამოსაყენებლად მოძმანაშვილიც და საკანდელიძეც გაათმაგებულად ივარჯიშებენ და კაცმა არ იცის, რა მოხდება მანამდე. სამაგიეროდ, თამამად შეიძლება გვქონდეს იმედი, **დავით გობეჯიშვილის** შემდეგ ამ ზეპრესტიჟულ წონაში ისევ მოვიპოვებთ დიდ გამარჯვებებს, რადგან მძიმე წონა ახლა კიდევ უფრო დამძიმდა.

ირაკლი თავაძე

● ძიუდო

რუსეთმა ევროპელ კორეელებთან უჭირს

22 წლის გორელი ძიუდოისტი ნუგზარ (ბაჩო) ტატალაშვილი ბოლო ორი წელიწადია საქართველოს ნაკრებში სტაბილურად ლიდერია 73 კგ წონით კატეგორიაში. წლეულს მან არაერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე იასპარეზა. ევროპის ჩემპიონობა და მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ინდივიდუალური პრიზებიდან კი თბილისის საერთაშორისო ტურნირის ოქროს მედლით გამოირჩა. საუბარიც ამ ჯილდოთი დავიწყეთ.

- თანამემამულეების თვალწინ ასპარეზობა, მით უფრო, თუ შეჯიბრება საერთაშორისოა და უცხოელთან გიწევს პაექრობა, რასაკვირველია, დიდი სტიმულია. შანსი გეძლევა შენი ქვეყნის ეროვნული დროშა აღმართო დარბაზში. თბილისის ტურნირის მოგება ერთ-ერთი უმთავრესი ოცნება იყო და საბედნიეროდ, იგი აისრულე. წლეულს, საერთოდ, სამი ამოცანა დავისახე მიზნად. თბილისის ტურნირის გარდა, მომეგო ევროპის ჩემპიონატი და ლონდონის ოლიმპიადაზე მომეპოვებინა მედალი.

- ევროპასთან დაკავშირებით ამოცანა ნაწილობრივ შეასრულე.

- მართლაც ასეა, მხოლოდ გუნდურში დავბრუნდი სამშობლოში ოქროს მედლით. რუსი ძიუდოისტი ბაითრაზ კაიტმაზოვი ძალიან ეფექტურად გავაკარი ტატამს, ტრიბუნებზე მაყურებლები ფეხზე ადგნენ და ტაში დამიკრეს. ევროპის ეს ჩემპიონატი ჩემთვის იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ჩელიაბინსკში ტარდებოდა, სადაც ოჯახთან ერთად ათი წელიწადი ვცხოვრობდი და სწორედ იმ დარბაზში ვვარჯიშობდი, ვიდრე ექვსი წლის წინ დავუბრუნდებოდი სამშობლოს.

- წლეულს სხვადასხვა შეჯიბრებაზე რამდენიმე რუს ძიუდოისტთან მოგიწია პაექრობამ და ყველა შენი გამარჯვებით დასრულდა.

- კაიტმაზოვთან ერთად, დასამახსოვრებელი იყო ობერვარტში ოლეგ ვასილიევთან გამარჯვება. საერთოდ, ვერ ვიტყვი, თითქოს რუსებთან განსხვავებული მონდომებით ვჭიდაობდე, მაგრამ ფაქტია, წლეულს ყველა მათგანს მოვუგე.

- ოლიმპიადის ლიცენზიისათვის ბრძოლაში შიდა კონკურენციის დაძლევაც გიწევდა.

- საქართველოში, უცხოეთთან შედარებით კონკურენციას თან სდევს განსხვავებული სირთულე. ყველამ ვიცით ერომანეთის სტილი, რაც პაექრობას აძნელებს. მე პირადად უცხოელ სპორტსმენთან უფრო მიადვილდება ჭიდაობა. უფრო თავისუფლად გავდივარ ტატამზე. უცხოელები ტექნიკურად საინტერესოდ ჭიდაობენ. სხვათა შორის, როგორც, შევამჩნიე მათი არცთუ მცირე ნაწილი, ქართველებთან გარკვეულწილად შებოჭილი გამოდის არენაზე.

- შენი აზრით, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები არიან უფრო ტექნიკურები?

- იაპონელები და ფრანგები. კორეელებს კი ხისტი, აგრესიული სტილი ახასიათებთ. იაპონელები თავადაც ჭიდაობენ და შენც გაძლევენ ამის საშუალებას, ამიტომ მათთან პაექრობა ყოველთვის საინტერესოა. მაგალითად, რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს ბოლო გუნდურ ჩემპიონატზე იაპონელი ებინუმა ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ ტყუილად არ დაუსახელებიათ, ძალიან ეფექტურად იჭიდავა. სხვათა შორის ეს ის ფალავანია, ლაშა შავდათუაშვილმა ოლიმპიადის ნახევარფინალში რომ სუფთად მოუგო.

- ურთიერთშეხვედრებში ყველაზე უარყოფითი ბალანსი კორეელებთან გაქვს.

- მათთან ძალიან მიჭირს, მხოლოდ ერთი კორეელი მყავს დამარცხებული. მიუდგომელი სტილი აქვთ, არც იღლებიან და მთელი შეხვედრის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალებასაც არ

>> 8ე-12 გვერდზე

« მე-11 გვერდიდან

აძლევენ მეტოქეს. ნლეულს კიმ იუნგ ვონმა ავსტრიის დიდ პრიზზე გადამიღობა გზა მედლისკენ, ლონდონში კი პირველივე შეხვედრაში, იცით, ტიტულოვან კიმ ჩუნ ვანგთან წავაგე. მესამე წელიწადია, ვანგი თავის ტკივილად მექცა. არადა, ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე, როდესაც მოსამზადებელი შეკრების ერთ-ერთი ეტაპი კორეაში გავიარეთ, იქაურ ნაკრებთან ერთობლივი ვარჯიშებისას ვანგთან შედარებით უკეთეს ფორმაში ვიყავი, უშუალოდაც ვიჭიდავეთ და დავამარცხე კიდეც. მაგრამ ლონდონის არენაზე პირველივე ჩავლებაზე მომკიდა თუ არა ხელი, ვიგრძენი, რომ იმ შეკრების მერე ერთიორად ჰქონდა მომატებული. მასთან ლონდონშიც არ მიასპარეზია ურიგოდ, მაგრამ მთავარი მხოლოდ მოგებაა და კმაყოფილიც

ბაჩო ტატალაშვილი (მარცხნიდან მეორე) თბილისის საერთაშორისო ტურნირის კვარცხლბეკზე

ვერ ვიქნები. ისე, კი დარწმუნებული ვარ, ეს შეხვედრა გადამწყვეტი იყო და ვანგის წინააღმდეგობა რომ დამეძლია, მჯერა მომდევნო მეტოქეებსაც უთუოდ ვაჯობებდი და უმედლოდ არ დავრჩებოდი.

- პიტერ ზაიზენბახერის საწვრთნელ პროცესში ფიზიკური დატვირთვების სირთულე ყველაზე ყბადაღებული თემა იყო...

- ზაიზენბახერის მიერ შემოთავაზებული ფიზიკური ვარჯიშების პროგრამით დღეში სამ საათს გრძელდებოდა, თანაც მაქსიმალურად უნდა დაგვეტვირთა სხეული. *„ამ პროგრამით თუ სრულყოფილად დაიტვირთები, ბევრს შეძლებ ოლიმპიადაზე“* - მეუბნებოდა ავსტრიელი მწვრთნელი. მე მართალაც დიდი მონდომებით გავიარე მთელი ეს პროგრამა, უკმაყოფილოც არ ვარ, რადგან ამ თვალსაზრისით შესამჩნევადაც გავძლიერდი, მაგრამ უარყოფითი, რაც ამ ვარჯიშებმა მომიტანა, ტემპის დაკარგვა იყო. შეჯიბრებაზე ვატყობდი, რომ ნაკლებად სწრაფი ვიყავი.

- ტრავმიანობა არ გახასიათებს. იშვიათად, რომ ამ მიზეზით ვარჯიში ან ტურნირი გამოტოვო.

- ფიზიკური გამძლეობა ნამდვილად არაა ჩემი მინუსი. შრომაც არასოდეს მეზარება. არ ვფიქრობ, რომ თვითნაბადი ტალანტი ვარ, მე უფრო თავდაუზოგავი ვარჯიშებით მივაღწიე ყველაფერს და მჯერა, მომავალში კიდევ მეტს შევძლებ.

- მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე შენი ასპარეზობის შესახებაც გვითხარი.

- ბრაზილიაში ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ირაკლი ცირეკიძემ ორ შეხვედრაში - იაპონელ და კორეელ მოწინააღმდეგეებთან მაჭიდავა. ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული და შეჯიბრებაც მონატრებული მქონდა. იაპონელი მეტქაქე სუფთა მოგებით დავამარცხე, ნაკლები შემართებით არც კორეელთან გავსულვარ, მაგრამ ამ ქვეყნელებთან უარყოფითი ბალანსი ისევ გამიგრძელდა. საბოლოოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდური ბრინჯაოს მოპოვებაში წვლილი მეც შევიტანე.

- ბოლო წლებში გორის დარბაზიდან ჩვენი ქვეყნის ყველა ნაკრებში იმატა ძიუდოისტთა რაოდენობამ...

- პერსპექტიული ახალგაზრდა ძიუდოისტი მართლაც სულ უფრო ბევრი ვარჯიშობს გორში. შავდათუაშვილის ოლიმპიურმა ტრიუმფმა მათი სტიმულიც გააორმაგა. თუ სანაკრებო შეკრებაზე არ ვარ, მუდამ სიხარულით შევდივარ მშობლიურ დარბაზში სავარჯიშოდ, სადაც ჩემი პირადი მწვრთნელების, ნიკო ბიბილაშვილის და ანზორ თენაძის მეთვალყურეობით და მეგობრების დახმარებით ძალიან ნაყოფიერად ვმუშაობ...

ვასილ ბალახაძე
გორიდან

● ბოგბურთი

მეოთხედფინალში ითამაშებს

ანთალიაში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) **სოფიო ქვაცაბაია,** რომელიც მე-7 ნომრადაა განთესილი, მორიგი გამარჯვება იზეიმა. ძირითადი ბადის სტარტზე ანასტასია რუდაკოვას დამარცხების (6:1, 6:1) შემდეგ მეორე წრეში კანადელი ელიზაბეტ ფურნიე ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში ქართველი ჩოგბურთელი სერბი ნატალია კოსტიჩის მძლეველ (7:5, 5:7, 6:2) ვიქტორია ტომოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდება.

დუბაიში ჩოგბურთელ ქალთა 75.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობასაც გამოეთიშა თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა.** ტაილანდელ ტამარინ ტანასუმარნთან ერთად იგი მე-2 ნომრად იყო განთესილი და ორი ორთაბრძოლაც მოიგო. მაგრამ მეოთხედფინალში იტალიელ კამერინთან და რუს დუშევინასთან სამ სეტში დამარცხდა - 3:6, 7:6, 4:10.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის რეიტინგში 22 წლის **ანა ტატიშვილი** 1140 ქულით 51-ე ადგილს ინარჩუნებს. დანარჩენ ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია: 302 (296). **სოფიო შაფათავა** (160 ქულა), 408 (406). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (93), 423 (426). სოფიო ქვაცაბაია (86), 451 (456). **ოქსანა კალაშნიკოვა** (74), 480 (483). **ეკატერინე გორგოძე** (65), 668 (669). **ნათია გეგია** (33), 1151 (1158). **ანი გოგვაძე** (3).



სოფიო ქვაცაბაია

ვაჟა დანელია

● „...აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“. გამოხმაურება

ვინ როგორ ფიქრობს...

კვირის თემა: „არის თუ არა აუცილებელი, მოსწავლე და სტუდენტ სპორტსმენებს მიეცეთ სწავლის პერიოდში შეღავათები და გაცდენები ჩაეთვალოთ საპატიოდ შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პერიოდში”? გთავაზობთ მეხუთე გამოხმაურების ბლოკს.

არავითარი შეღავათი სწავლაში სპორტში მიღწევების გამოდევნების ხარჯზე. აბა დაფიქრდით, არის თუ არა დანაშაული მოზარდის წინაშე სწავლაში ხელის შეშლა. დიახ, ამას ხელის შეშლა ჰქვია. მე რომ ვიყო განათლების მინისტრი, არაფრით არ წავიდოდი დათმობაზე. სკოლა თავისას ითხოვს და სწორიცაა, იმის იქით ბავშვი სპორტს დაუთმობს თავისუფალ დროს, მუსიკას თუ სხვა რამეს ეს მისი და ოჯახის საქმეა. აცადეთ სწავლა ბავშვებს, მაგრამ ნურც არჩევანს წაართმევთ.

ნელი გელაშვილი
ზესტაფონი

■ ■ ■

სპორტი დროებითია, სწავლა სამუდამო. „სწავლა სიკვდიმდე შენია“ — გავიხსენოთ დიდი წინაპრის შეგონება. აი, იმათ აზრს კი ვემხრობი, ვინც სპორტული სკოლა-ინტერნატების სისტემის დანერგვისკენ მოგვიწოდებს. მგონია, რომ უკეთესი გამოსავალი არ არის. ნიჭიერმა სპორტსმენებმა კი უმაღლესი სასწავლებლის არჩევისას, ალბათ, სპორტის აკადემია (თუ აღდგა) უნდა აირჩიონ. ასე აჯობებს, თავისი საქმის ნამდვილად კარგი სპეციალისტები გამოვლენ - მწვრთნელობა რა, ნაკლებად პრესტიჟულია? მით უფრო, თუ ძლიერი ხარ.

თევრად ედილაშვილი
ქარელი

■ ■ ■

გამაგებინეთ, მართლა არიან თუ არა ისეთი მშობლები, რომლებსაც არ სურთ შვილმა განათლება მიიღოს. ეს რომ ვთქვი, მეგობრებმა აქეთ მკითხეს, აბა გაიხსენე რომელი მილიონერისა და არისტოკრატის შვილია ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონი. გამიჭირდა პასუხი. ჰოდა, მითხრეს: სპორტი გაჭირვებული ოჯახის შვილებისაა. მშობლებს ურჩევნიათ სწავლა სპორტზე გაცვალონ იმ იმედით, რომ შვილი ადრეული ასაკიდანვე შეიტანს ფულს ოჯახში. დავფიქრდი. მესმის, რომ ასეა, მაგრამ ისიც მესმის, რომ ყოველთვის არ გაამართლებს ამ გზის არჩევა. რისკზე ვინ არ მიდის, განა თავად ჩვენ გამონაკლისები ვართ?

ჟორა ჯიქია
ზუგდიდი

■ ■ ■

იცით, რას ვიტყვი? სკოლას სკოლას მიხედეთ, ადრე ამბობდნენ: „ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაში დევსო“. ამბობდნენ იმიტომ, რომ სკოლა იყო სპორტის სათავე. ფიზაღზრდის მასწავლებელი ნიჭიერ ბავშვებს კლასგარეშე მუშაობაში რთავდა, ანუ გაკვეთილების მერე სპორტულ სექციაში იქვე ავარჯიშებდა, ხოლო ვის ნიჭიერებაშიც დარწმუნდებოდა, სპორტულ სკოლაში უწევდა რეკომენდაციას. ეს იყო სისტემა, თანაც ძალიან კარგი. ალბათ ამიტომაც, მაშინ, ასე მწავედ სულაც არ იგრძნობოდა სწავლისა და სპორტის შეთავსება თუ შეუთავსებლობა. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ გამოვნახოთ გამოსავალი, რათა სწავლასა და სპორტში თავისი შესაძლებლობები მოსწავლემ თუ სტუდენტმა სრულად გამოიყენოს!

გია სალარეიშვილი
ქუთაისი. ყოფილი პედაგოგი.

● კიკბოქსინგი



ევროპიდან ჩემპიონატზე ვლეს ცხრა ადგილი

საქართველოს მეცხრამეტე გუნდური ჩემპიონატი კიკბოქსინგში თბილისში დედოფლისწყაროელთა გამარჯვებით დასრულდა. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ქვეყნის ყველა ძლიერმა გუნდმა. ეს გასაგებიცაა, რადგან ასპარეზობა ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებას ისახავდა მიზნად.

შარშანდელი გამარჯვებულის, დედოფლისწყაროს კლუბ “ჩემპიონის” (მწვრთნელი **თამაზ ყარაგვეზაშვილი**) წევრებმა სულ 16 მედალი დაიმსახურეს. ჩემპიონები გახდნენ: **ნიკა ფიროსმანაშვილი, მალხაზ უთრუთაშვილი, ვალერი ვაჭრიძე, გიორგი ღულუნიშვილი** და **ხვიჩა ქოქუაშვილი;** მეორე ადგილზე გავიდნენ - **თორნიკე ლეკაშვილი, გიორგი გომერშმიდი, ნიკა პაპუაშვილი, ლუკა მოდებაძე, ლევან წიკლაური, ვანო ნათელაძე, თამარ ჩიბუხაშვილი;** მესამეზე - **გიორგი ბასილაშვილი; გიორგი ბენაშვილი; ჯემალ ზოიძე; ზაზა თითილოკაშვილი.**

მსაჯებისა და მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გიორგი გომერშმიდმა და გიორგი ბასილაშვილმა.

ლელა ხეჩოშვილი

● კარატე

ტრადიციული პირველობა გორში

გორმა მეოცედ უმასპინძლა ტრადიციულ ღია პირველობას კარატე დო-ში თბილისის რამდენიმე კლუბის, ზუგდიდის, ფოთის, ქუთაისის, მცხეთის, დუშეთის გუნდების მონაწილეობით. ტურნირის ორგანიზატორია კარატეს ადგილობრივი სპეციალისტი **გელა პავლიაშვილი.** გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზის არენაზე 100-მდე მონაწილე გავიდა კუმიტეში სასპარეზოდ. გუნდური შედეგით პირველობა არავის დაუთმო თბილისის კლუბმა (მწვრთნელი **გიორგი ბოჭორიშვილი**), პირადში კი გამარჯვებულები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: **ირაკლი კეჟერაშვილი** (6 - 7 წ. თბილისი), **ცოტნე ნონაშვილი** (8 – 9 წ), **გიორგი შავშიშვილი** (10 - 11 წ. ორივე - გორი), **ირაკლი ჭურღულია** (12 - 13 წ. ზუგდიდი), **გოგა კორტავა** (14 - 15 წ. ფოთი), **ნიკოლოზ ქობალია** (16 - 17 წ), **გიორგი თათრიშვილი** (აბსოლუტური, ორივე - თბილისი). გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით და პრიზებით.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

● გინესი

ბეგიაშვილის ახალი მიღწევა

ახმეტის სასპორტო სკოლის დარბაზში დავით ბეგიაშვილმა გინესის მორიგი რეკორდი დაამყარა მუცლის პრესის ვარჯიშში. მან ხუთ წუთში 271-ჯერ შეასრულა ვარჯიში, რითიც მიღწევა გააუმჯობესა. ღონისძიებას დაესწრო და რეკორდსმენს წარმატება მიულოცა ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ზურაბ ზვიადაურმა.**

ლელა ხეჩოშვილი

● ჭადრაკი

უშენინა დაწინაურდა

ხანტი-მანსიისკში დასასრულს უახლოვდება ნოკაუტსისტემით მოჭადრაკე ქალთა ექვსრაუნდიანი მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი ქართველი დიდოსტატიც (ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო ხუხაშვილი) მონაწილეობდა, მაგრამ ისინი ადრეულ ეტაპზე ჩაშორდნენ მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს.

ხუთრაუნდიანი პაექრობების შემდეგ 64-უჯრიან დაფას 64-დან 2 მოჭადრაკე შემორჩა: დაფნის გვირგვინისთვის მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) და ანა უშენინა (უკრაინა) იბრძვიან. პირველი ორი კლასიკური პარტია ყაიმით დამთავრდა.

გუშინ უშენინამ თეთრი ფიგურებით 37-ე სვლაზე აჯობა მეტოქეს და დაწინაურდა. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მას დღეს ყაიმიც ჰყოფნის.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ მილტონ ჰეიგთან

მოთმინებით აღიჭურვეთ და გვენდეთ

საქართველოს ნაკრებმა სეზონი დაასრულა. ბოლო მატჩები „ბორჯღალოსნებმა“ ნოემბრის ტესტებზე იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან გამართეს. მანამ კი ჩვენმა გუნდმა ჯერ ევროპის ერთა თასი მოიგო, მერე კი ივნისის ტესტებზე ჩრდილოამერიკულ ტურნეში კანადისა და აშშ-ის ნაკრებებთან წააგო. ამას ნოემბერში კიდევ ორი მარცხი მოჰყვა და საქართველოს ნაკრები მსოფლიოს რეიტინგში მე-17 ადგილამდე დაქვეითდა. ნაკრების მთავარ მწვრთნელს მილტონ ჰეიგს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ სამუშაო ოთხში შევხვდით, სადაც „ბორჯღალოსანთა“ თავკაცი ფიჯისთან მატჩის ვიდეოანალიზზე მუშაობდა.

- როგორ შეაფასებდით განვლილ სეზონს. როდესაც თქვენ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ, თქვით, რომ გუნდის თამაშის სტილს შეცვლიდით, უკანა ხაზის უფრო ეფექტურად გამოყენებას შეეცდებოდით. გამოგივიდათ თუ არა ის, რასაც გეგმავდით?

- თუ გუნდის უწინდელ თამაშს შევადარებთ, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თამაშის გაშლას ვახერხებთ. ფიჯისთან და იაპონიის ნაკრებთა მატჩებში, გუნდს მთელი მოედნის სიგრძე ჰქონდა ათვისებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ეფექტურად გამოყენებას ვერ ვახერხებდით. ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს რაკის მახლობლად თამაშის დასახვეწად, ასევე ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

თუ გვინდა მაღალი დონის გუნდებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ პირველი ნომრიდან დაწყებული, თხუთმეტით დამთავრებული, ყველა სინქრონულად უნდა იყოს თამაშში ჩართული და მთელ მოედანს უნდა ვიყენებდეთ. მაგრამ, ხაზს ვუსვამ, საჭიროა მეტოქის მხრიდან ზეწოლის პირობებში, ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

აი მაგალითად, ავიღოთ ეს ეპიზოდი (პროექტორზე ფიჯის ნაკრებთან მატჩის ერთ-ერთ მომენტს მიჩვენებს): ჩვენი გუნდი მარჯვენა ფრთაზე უტევს, მარცხნივ ხაზი მშვენივრად დგას, წყობა თითქმის იდეალურია. ათი ჩვენი მოთამაშის წინ ოთხი ფიჯელი დგას. საკმარისია, ბურთი ხაზზე გამოთამაშდეს და ლელო გარდაუვალია. აქ კი რა ხდება? ერთ-ერთმა მოთამაშემ რაკიდან ბურთი აიტაცა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე შეუტია. ასეთი მომენტი თამაშში დაახლოებით ათჯერ იყო. ერთი ან ორი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ფიჯის დავამარცხებდით.

- რით შეიძლება ეს აიხსნას?

- ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე არ არის ისეთი მაღალი, რა დონის გუნდებთანაც გვიწევს ტესტებზე თამაში. მატჩების მსვლელობა ხშირად ჩერდება, იკარგება დინამიკა. ამიტომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული მსაჯებზე. ჩვენი და საქართველოს რაგბის კავშირის სამუშაო ის არის, რომ დავეხმაროთ გუნდებს და მსაჯებს, დონე აიმაღლონ. თუ ამას შევძლებთ, ნაკრებში გამოძახებული მორაგბეების დონეც აიწევს და ეს პრობლემებიც მოგვარდება.

- თამაშის გაშლას საქართველოს ნაკრებში თქვენი წინამორბედები ტიმ ლეინი და რიჩი დიქსონიც ცდილობდნენ, მაგრამ ამბობდნენ, რომ ეს არ უნდა მოხდეს ძლიერი მხარის, შერკინების დასუსტების ხარჯზე. ფიჯისთან და იაპონიასთან მატჩში ჩანდა, რომ პრობლემები ამ რგოლშიც გვაქვს...

- იაპონიასთან მატჩზე ასე არ ვიტყოდი. პირიქით, ამ შეხვედრაში ზედმეტად ბევრიც კი იყო აიღე-მიეძალეს პრინციპით მეტოქის დაჩაგვრის მცდელობა. ჩვენი მიზანი იყო, საწყის 25 წუთში მორრომ თამაშის გაშლას ვახერხებთ. ფიჯისთან და იაპონიის ნაკრებთა მატჩებში, გუნდს მთელი მოედნის სიგრძე ჰქონდა ათვისებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ეფექტურად გამოყენებას ვერ ვახერხებდით. ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს რაკის მახლობლად თამაშის დასახვეწად, ასევე ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

თუ გვინდა მაღალი დონის გუნდებს ტოლ-სწორად ვეთამაშოთ პირველი ნომრიდან დაწყებული, თხუთმეტით დამთავრებული, ყველა სინქრონულად უნდა იყოს თამაშში ჩართული და მთელ მოედანს უნდა ვიყენებდეთ. მაგრამ, ხაზს ვუსვამ, საჭიროა მეტოქის მხრიდან ზეწოლის პირობებში, ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

აი მაგალითად, ავიღოთ ეს ეპიზოდი (პროექტორზე ფიჯის ნაკრებთან მატჩის ერთ-ერთ მომენტს მიჩვენებს): ჩვენი გუნდი მარჯვენა ფრთაზე უტევს, მარცხნივ ხაზი მშვენივრად დგას, წყობა თითქმის იდეალურია. ათი ჩვენი მოთამაშის წინ ოთხი ფიჯელი დგას. საკმარისია, ბურთი ხაზზე გამოთამაშდეს და ლელო გარდაუვალია. აქ კი რა ხდება? ერთ-ერთმა მოთამაშემ რაკიდან ბურთი აიტაცა და მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე შეუტია. ასეთი მომენტი თამაშში დაახლოებით ათჯერ იყო. ერთი ან ორი მაინც რომ გამოგვეყენებინა, ფიჯის დავამარცხებდით.

- რით შეიძლება ეს აიხსნას?

- ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის დონე არ არის ისეთი მაღალი, რა დონის გუნდებთანაც გვიწევს ტესტებზე თამაში. მატჩების მსვლელობა ხშირად ჩერდება, იკარგება დინამიკა. ამიტომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული მსაჯებზე. ჩვენი და საქართველოს რაგბის კავშირის სამუშაო ის არის, რომ დავეხმაროთ გუნდებს და მსაჯებს, დონე აიმაღლონ. თუ ამას შევძლებთ, ნაკრებში გამოძახებული მორაგბეების დონეც აიწევს და ეს პრობლემებიც მოგვარდება.

- თამაშის გაშლას საქართველოს ნაკრებში თქვენი წინამორბედები ტიმ ლეინი და რიჩი დიქსონიც ცდილობდნენ, მაგრამ ამბობდნენ, რომ ეს არ უნდა მოხდეს ძლიერი მხარის, შერკინების დასუსტების ხარჯზე. ფიჯისთან და იაპონიასთან მატჩში ჩანდა, რომ პრობლემები ამ რგოლშიც გვაქვს...

- იაპონიასთან მატჩზე ასე არ ვიტყოდი. პირიქით, ამ შეხვედრაში ზედმეტად ბევრიც კი იყო აიღე-მიეძალეს პრინციპით მეტოქის დაჩაგვრის მცდელობა. ჩვენი მიზანი იყო, საწყის 25 წუთში მორ-

კინალების მიძალებით იაპონელთა დაცვა შეგვეკუმშა და მერე გაგვეშალა თამაში, მაგრამ ვერ შევძელით. ბიჭები ცდილობდნენ შერკინებაში მეტოქე ბოლომდე დაეჩაგრათ. მსაჯმაც რამდენიმე შეცდომა დაუშვა ჩვენს საზიანოდ.

არ ვიცი, რას ამბობდნენ ჩემი წინამორბედები, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკრების მორაგბეთა უმრავლესობას 50 კეპზე მეტი აქვთ მოხვეჭილი და დღემდე არ იციან მეტოქის მხრიდან ზეწოლის პირობებში ბურთის წესიერად გადაცემა და დაჭერა. რაგბის თამაში ესაა. თუ გინდა ხელდახელ იბურთაო, ბურთი ნორმალურად უნდა გადასცე თანაგუნდელს და პასიც დაიჭირო. ამას რომ ვერ აკეთებდნენ, ამიტომაც იყო ნაკრების თამაში მთლიანად შერკინებაზე დაყრდნობილი. ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ.

ადგილობრივ მოთამაშეებს ხშირად ვკრებთ და ვავარჯიშებთ, ბევრმა მათგანმა გამოასწორა კიდეც ეს ნაკლი. სამწუხაროდ, უცხოეთში მოთამაშე მორაგბეებთან იმავეს გაკეთებას ვერ ვახერხებთ. 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ეს პრობლემა საბოლოოდ უნდა გადავჭრათ.

- მალე წელიწადი გახდება, რაც საქართველოს ნაკრებს თავკაცობთ. როგორ ფიქრობთ, რა დადებითი ძვრები მოხდა ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენს ეროვნულ გუნდში?

- მიმაჩნია, რომ ჩვენი გუნდის შეტევის წყობა და პოტენციალი გაუმჯობესდა. მორაგბეებმა დაიწყეს ფიქრი, როგორ შეუტიონ და გამოიყენონ უპირატესობა. ამასთან ერთად ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გამოვიძახეთ და ვცდილობთ, სუსტი პოზიციები შევავსოთ.

- როგორ ფიქრობთ, რომელ პოზიციაზე უჭირს ყველაზე მეტად საქართველოს ნაკრებს?

- ერთადერთი რგოლი, სადაც პრობლემა არ გვაქვს, შერკინების პირველი ხაზია. მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია მეორე და მესამე ხაზები და არ მგონია, ამ პოზიციებზე უახლოეს ხანში სერიოზული პრობლემები შეგვექმნას.

საპირისპირო ვითარებაა უკანა ხაზში. რამდენიმე მოთამაშე გვიბერდება და გვინდა გადავახალისოთ, გავაახალგაზრდავოთ. შედარებით უკეთესი მდგომაროებაა შუამარბის პოზიციაზე, მაგრამ თუ ვინმე ტრავმის გამო დაგვაკლდება, სირთულეებს ნავაწყდებით. ფულბეკისა და გარემარბის პოზიციებზეც არ გვაქვს დიდი არჩევანი. რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე ავიყვანეთ 19-წლამდელთა ნაკრებიდან და ერთა თასის გათამაშების მატჩებში ვეცდებით ნელ-ნელა შევაჩვიოთ ძირითად შემადგენლობას. რადიკალური ცვლილებები არ იქნება, მაგრამ იმის საშუალება კი მოგვეცემა, რომ 2-3 ახალგაზრდა მორაგბე ვათამაშოთ.

- თქვენ ნდობა გამოუცხადეთ ახალგაზრდა მერაბ შარიქაძეს, რომელმაც წლეულს ყველა მატჩში ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. არ ფიქრობთ, სხვა ახალგაზრდა მორაგბეებსაც მისცეთ იგივენაირი შანსი?

- მერაბისნაირი არავინაა. შარიქაძესთვის ნდობა ბრმად არ გამოგვიცხადებია. მისი თამაში 19-წლამდელთა ნაკრებში ვნახე და შევამჩნიე, რომ ასაკთან შედარებით რაგბის თამაშის მეტი ცოდნა და უნარ-ჩვევები ჰქონდა. მან პირველივე საწვრთნელ შეკრებაზე გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ის ძალიან ნიჭიერი ბიჭია. მის გარდა არის კიდევ რამდენიმე მორაგბე, რომლებზედაც იმედს ვამყარებთ, თუმცა ნაკრების ძირითადი შემადგენლობისთვის ჯერ მზად არ არიან.

- ძალიან ბევრ რაგბის ქომაგს აინტერესებს და არ შემიძლია, მეც არ გკითხოთ, რატომ არ არის ნაკრებში „მონპელიეს“ შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტი?

- ერთა თასის წლევანდელი გათამაშების მსვლელობისას რამდენჯერმე დავურეკეთ - არ ეცალა. მერე ივნისის ტესტებისთვის გვინდოდა გამოძახება, უარი გვითხრა, ახლა ნოემბრის ტესტებზე არ გამოვიძახეთ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ არაფრით არის დავით ზირაქაშვილსა და დავით ქუბრიაშვილზე უკეთესი მოთამაშე. ჩვენი რანჟირებით, ის მარჯვენა ბურჯებს (№3) შორის მესამე ნომერია. ზირაქაშვილი და ქუბრიაშვილი მუდამ მზად არიან ნაკრებში სათამაშოდ და ხვეწნა არასდროს დაგვჭირვებია. ჟღენტისთვის ნაკრების კარი დახურული არ არის, თუმცა თვითონაც უნდა გამოამჟღავნოს ნაკრებში თამაშის სურვილი და მზადყოფნა.

- მოდით, მომავალი წლის გეგმებზეც ვისაუბროთ. თებერვალში ერთა თასის გათამაშება იწყება, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა...

- რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ტესტებსა და 2015 წლის მსოფლიოს თასზე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი მაინც ერთა თასის გათამაშებაა, სადაც აუცილებლად წარმატებულად უნდა ვიასპარეზოთ, რათა მსოფლიოს თასის საგზური მოვიპოვოთ.

ივნისში თბილისში გასამართი ტურნირი განვითარების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. ამ შეჯიბრებაში ბევრ მოთამაშეს მიეცემა შანსი, თავი გამოიჩინოს. ივნისშივე გვაქვს ძალიან სერიოზული ტესტი არგენტინაში იქაურ ეროვნულ გუნდთან. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, ძალიან უნდა მოვინდომოთ, რომ სამხრეთ ამერიკაში უძლიერესი შემადგენლობა წავიყვანოთ.

რაც შეეხება ნოემბერს, ამ დროსითვის ორი ტესტია დაგეგმილი აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან, თუმცა ჩვენ მესამესაც მოვითხოვთ, ვინ იქნება მეტოქე მოგვიანებით გადაწყდება.

- ბოლოს, რას ეტყვით რაგბის ქართველ ქომაგებს, რას უნდა ელოდონ ისინი მომავალში „ბორჯღალოსნებისგან“?

- როცა ცდილობ გუნდში ახალი სტილი დანერგო, გიწევს რამდენიმე ნაბიჯის უკან გადადგმა. ახალ ზელანდიაში როცა ვმუშაობდი, იგივე დამემართა. ჩემმა კლუბმა დასაწყისში რამდენიმე საფეხურით უკან დაინია, თუმცა მერე ჩემპიონები გავხდით. ნოემბრის ტესტებზე ფიჯისა და იაპონიის ნაკრებების დამარცხება რეალურად შეგვეძლო. რომ მოგვეგო, ყველა კმაყოფილი იქნებოდა. გარწმუნებთ, რომ განვითარებას განვაგრძობთ და შემდეგ ტესტებზე აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან მატჩებში უკეთესი შედეგები გვექნება.

ერთი რამ მინდა ვთხოვო ყველას, მოთმინებით აღიჭურვეთ და გვენდეთ.

ბესიკ ჭანგავაძე

● იუბილარი

ქართული რაგბის სულიერი მამა

რაგბი ნამდვილი ჯენტლმენების, ვაუკაცური ბუნების ადამიანების თამაში რომ არის, დიდი ხანია ცნობილია. ოვალური ბურთით მრავალი სახელოვანი, რაინდული სულის ადამიანი იყო გატაცებული, მათ შორის ქართული რაგბის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, მისი ერთ-ერთი მესაძირკვლე **მურიკო თოფურიძე** გახლავთ.

სიყმანვილეში ჭიდაობით იყო გატაცებული, სადაც მე-10 საშუალო სკოლის მაშინდელი ფიზალზრდის მასწავლებელი **გოგი ბასიაშვილი** ავარჯიშებდა. თითქოს მონაცემებიც არ ჰქონდა ვინმეზე ნაკლები, მაგრამ მეგობრების - **ვიტალი სისაურის, გია წურწუმიას, თემურ გიორგაძის, გურამ ახრახაძის, ომგერ მაცაბერიძის, კოტე ღუღუნიშვილის, ლეო ახვლედიანისა** და **ვოვა კერესელიძის** რჩევით ინტერესის სფერო შეიცვალა და რაგბიში გადაბარგდა. იმ დროისთვის საფრანგეთიდან ახლი ჩამოსული იყო **ჟაკ ასპეკიანი** და ქართველ ენთუზიასტებთან ერთად ქართულ რაგბის უყრიდა საფუძველს.

ბუნებრივია, ახალი სახეობის დამკვიდრება უმტკივნეულოდ არ მომხდარა. მეტიც - ჩინოვნიკები **გოგი ტონიას, ზაურ მგელაძეს, გივი მრელაშვილსა** და მათ თანამებრძოლებს სტადიონებზე არ უშვებდნენ და მათაც ქალაქგარეთ, უმძიმეს პირობებში უწევდათ ყამირ მინაზე პირველი ხნულის გავლება. მაგრამ იყო ერთი ფაქტორი, რამაც სიახლის დანერგვა დააჩქარა. ესაა ათასწლოვანი ლელოსა და რაგბის გაჭრილი ვაშლივით მსგავსება, რაც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა ჩვენში უცხო თამაშის გასავითარებლად.

აი, ასეთ ქურაში იწრთობოდა პირველი ქართული სარაგბო გუნდების - სპინს, „ისნისა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებთა ფოლადი, ამ უკანასკნელში კი შერკინების პირველ ხაზში წამყვან როლს ნომერ პირველი მაისურით მოთამაშე, დიდი ფიზიკური ძალითა და გამძლეობით გამორჩეული, შეტევათა ორგანიზატორი მურიკო თოფურიძე ასრულებდა. **ნუგზარ ენდელაძესა** და **გია ჩეჩელაშვილთან** ერთად იგი პარტნიორთა სული და გული იყო.

შემდეგ იყო თბილისის „განთიადში“ გატარებული სეზონი, სადაც **ნოდარ ყიფიანის** ინიციატივით გადავიდა, შთამბეჭდავი კარიერის უდიდესი ნაწილი, უმთავრესი წარმატებები და საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი კი თბილისის „დინამოს“ უკავშირდება, რომელშიც **ირაკლი კიზირიას, რომა ღვინიაშვილისა** და **მიხეილ კვინიხაძის** მონდომებით ჩაირიცხა.

საქართველოს რვაგზის ჩემპიონი, „დინამოს“ საკავშირო პირველობების მრავალგზის გამარჯვებული, 1966 წლის ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და ამავე ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზის მფლობელი, 1971 წლის სსრკ საუკეთესო დინამოელი მორაგბე, სამჯერ დაასახელეს საბჭოთა კავშირის 30 საუკეთესოს შორის, ხოლო 1964 წელს ღელობურთშიც გახდა საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი.

აღსანიშნავია, რომ მამის კვალს გაჰყვა მისი ერთადერთი ვაჟი **დიმიტრიც**, რომელიც თბილისის „ლოკომოტივის“ შერკინების ლიდერი გახლდათ და, ოჯახური ტრადიციის შესაბამისად, ნომერ პირველი მაისურით ასპარეზობდა.

განსაკუთრებულია ბატონი მურიკოს ღვაწლი სამშობლოში ღვინისა და შამპანურის წარმოების ფეხზე დასაყენებლად, სადაც ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა.

ღირსების ორდენის კავალერი მურად (მურიკო) თოფურიძე უკვე 70 წლისაა.

®

● ᲩᲝ�გᲑᲣᲠᲗᲘ



ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲩᲝᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ

ᲥᲐᲚ ᲩᲝᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ. ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲯᲔᲠᲘ „ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ“ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲓᲒᲐ. ᲐᲛ ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲣᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ **ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ**.

2012 ᲬᲔᲚᲡ, ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ 62 ᲛᲐᲢᲩᲘ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲪ 58 ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ. ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲛ WTA-ᲘᲡ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲨᲘᲓᲘᲓ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ - ᲩᲐᲠᲚᲡᲢᲝᲜᲨᲘ (ᲐᲨᲨ), ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲨᲘ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ), ᲡᲢᲔᲜᲤᲝᲠᲓᲨᲘ (ᲐᲨᲨ) ᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ (ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ). ᲐᲛᲐᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲚᲔᲛᲘᲡ“ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲖᲔ - ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ, ᲡᲔᲠᲔᲜᲐᲛ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲛᲘᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲛᲘᲝᲠᲗᲝᲕᲐ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲔᲠᲘᲒᲨᲘ. ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲛᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ 2012 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲩᲝᲒᲑᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲜᲒᲨᲘ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ.

ᲡᲔᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ �გᲐᲮᲓᲐ WTA-ᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲣ. ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ 2002, 2008 ᲓᲐ 2009 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ ᲤᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ �გᲐᲮᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲚᲔᲛᲘᲡ“ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2013 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ **ᲛᲔᲠᲓᲘ ᲤᲘᲨᲘ** ᲕᲔᲠ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ, - ᲬᲔᲠᲡ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ.

ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲘთ, 30 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ATP-ᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ 27-Ე ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ, ᲙᲚᲔᲕᲐᲕᲐᲪ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲝᲕᲐ.

2012 ᲬᲔᲚᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲨᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔᲨᲘ ᲬᲐᲐ�გᲝ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲔᲚ **ᲐᲚᲔᲮᲐᲜᲓᲠᲝ ᲤᲐᲚᲐᲡᲗᲐᲜ**.

■ ■ ■

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲝᲒᲐᲜᲘ, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲘ **ᲮᲣᲐᲜ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡ ᲤᲔᲠᲔᲠᲝ** ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲚᲐᲜᲐᲛᲓᲐᲛᲣᲚᲘᲡ **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲡ ᲐᲚᲒᲐᲠᲝᲡ** ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲬᲔᲚᲡ, ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ. ᲮᲣᲐᲜ-ᲙᲐᲠᲚᲝᲡᲘ ᲐᲚᲛᲐᲒᲠᲝᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲐᲙᲐᲞᲣᲚᲙᲝᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ ᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ.

● ᲙᲠᲘᲖᲘ

ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲡ ᲛᲔᲒᲝᲥᲔ ᲣᲞᲝᲕᲔᲡ

ᲡᲐᲛ ᲬᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 32 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲣᲔᲠᲢᲠᲝᲠᲘᲙᲝᲔᲚᲘ **ᲛᲘᲒᲔᲚ ᲙᲝᲢᲝ** ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ �გᲐᲮᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲔᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲓᲐᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ - „ᲛᲔᲓᲘᲡᲝᲜ ᲡᲙᲕᲔᲠ �გᲐᲠᲓᲔᲜᲖᲔ“ ᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘ 100 ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲑᲘᲚᲘᲗᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ.

100-ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲙᲝᲢᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲮᲐ - ᲞᲣᲔᲠᲢᲠᲝᲠᲘᲙᲝᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲛᲔᲓᲘᲡᲝᲜ ᲡᲙᲕᲔᲠ �გᲐᲠᲓᲔᲜᲖᲔ“ ᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ WBA-ᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐᲜ, 27 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ **ᲝᲡᲢᲘᲜ ᲢᲠᲐᲣᲢᲗᲐᲜ**.

ᲙᲝᲢᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ 2005 ᲬᲔᲚᲡ �გᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲢᲠᲐᲣᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲙᲘ ᲠᲘ�გᲘᲗ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲐᲠᲔᲜᲐᲖᲔ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘ�გᲔᲚᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲬᲐᲣ�გᲘᲐ ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲨᲘ.

■ ■ ■

�გᲐᲖᲔᲗ LA Times-ᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ **ᲚᲔᲜᲘᲡ ᲞᲣ�გᲛᲐᲘᲠᲛᲐ** ᲗᲐᲕᲘᲡ „ᲢᲕᲘᲢᲔᲠᲖᲔ“ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲝᲛᲝᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ Golden Boy Promotions-ᲘᲡ ᲐᲛᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ **ᲠᲘᲩᲐᲠᲓ ᲨᲐᲤᲔᲠᲛᲐ** ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲙᲠᲘᲕᲘᲡ, ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ WBC-ᲘᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ **ᲤᲚᲝᲘᲓ ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲘᲡ** ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲛᲔᲗᲝᲕᲘᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ **WBC**-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ **ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲒᲔᲠᲔᲠᲝᲡ** ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ. ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲒᲔᲠᲔᲠᲛ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲑᲠᲘᲕ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲡᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, 29 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ **ᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲔᲠᲢᲝ**.

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲛᲔᲘᲕᲔᲖᲔᲠᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲘᲡ ᲠᲘᲜᲒᲑᲖᲔ ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲘ�გᲔᲚ ᲙᲝᲢᲝ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ.

■ ■ ■

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲙᲠᲘᲕᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ (WBC) ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ, ᲓᲝᲜ **ᲮᲝᲡᲔ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲛᲐ** ᲐᲦᲘᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1975 ᲬᲚᲘᲡ 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ. ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲓᲐ 81 ᲬᲔᲚᲘ, ᲡᲣᲠᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲐᲡ.

„ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲚᲔ. ᲙᲠᲘᲖᲘᲡ 65 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲕᲣᲓᲒᲕᲔᲜᲘ. ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ“, - ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘ.

● ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲤᲔᲢᲔᲚᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲛᲣᲥᲠᲘᲑᲔᲑᲐ



ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲓᲘᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠᲛᲐ �გᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ: "ᲠᲔᲓ ᲑᲣᲚᲘᲡ" ᲞᲘᲚᲝᲢᲡ **ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲤᲔᲢᲔᲚᲡ**, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲐᲜ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲞᲠᲘᲖᲔ **ᲟᲐᲜ-ᲔᲠᲘᲙ ᲕᲔᲠᲜᲘᲡ** ᲐᲠᲐᲡᲬᲠᲘ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲕᲘᲓᲔᲝᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲤᲔᲢᲔᲚᲛᲐ ᲕᲔᲠᲜᲡ, ᲔᲒ. Წ. ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲗᲝᲕᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ. �პᲘᲚᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ 20-ᲬᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲯᲐᲠᲘᲛᲘᲗ ᲘᲡᲯᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲤᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ 20 ᲬᲐᲛᲡ ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲑᲔᲜ, ᲘᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲘᲗᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲠᲕᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲝᲗᲮ ᲥᲣᲚᲐᲡ. ᲐᲡᲔᲗ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�გᲐᲠᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ 277 ᲥᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲚᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ "ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ" ᲞᲘᲚᲝᲢ **ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲐᲚᲝᲜᲡᲘᲡ**.

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲩᲘᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲠᲕᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ. ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲣᲥᲘᲡ ᲪᲐᲑᲚᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ. ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲨᲣᲥᲘᲡ ᲪᲐᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲛᲐ Correro Dello Sport-ᲛᲐ, "ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ" ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲚᲝᲜᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲘᲛᲐᲕᲔᲡ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲗᲐᲓ, "ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘᲡᲐ" ᲓᲐ "ᲢᲝᲠᲝ ᲠᲝᲡᲝᲡ", ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲤᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ.

ᲙᲝᲑᲐᲘᲐᲨᲘ 26 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ (ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲠᲝᲡᲣᲐᲜᲘ), ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲔᲥᲕᲡ ᲐᲗᲔᲣᲚ ᲒᲠᲐᲜᲘᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ. ᲬᲔᲚᲡ ᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲕᲘᲓᲐ ᲞᲝᲓᲘᲣᲛᲖᲔ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡ ᲡᲬᲠᲘᲓ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲒᲠᲝᲡᲣᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲤᲠᲐᲜᲒᲡ ᲒᲐᲐᲩᲜᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲙᲝᲖᲘᲠᲘ – ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲕᲗᲝᲛᲝ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘᲡ Total-ᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ "ᲚᲝᲢᲣᲡᲨᲘ" ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘᲗᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ, ᲕᲘᲗᲠᲔ ᲐᲥ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲘᲚᲝᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ.



ᲙᲝᲑᲐᲘᲐᲨᲘ ᲚᲝᲢᲣᲡᲨᲘ ᲛᲘᲦᲘᲡ?

2012 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ "ᲚᲝᲢᲣᲡᲘᲡ" ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲔᲢᲝᲥᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲗᲝᲕᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ. ᲞᲘᲚᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲙᲚᲔᲕᲐᲕᲐᲪ ᲒᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲝᲕᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ. ᲞᲘᲚᲝᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ, ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ 20

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

დიდი ჩხუბი ბოსტონში

„ბოსტონის“ გამთამაშებელმა **რაჟონ რონდომ** ვერ გააგრძელა თავისი ბრნყინვალე სერია, რომლის დროსაც ის მატჩში მინიმუმ 10 შედეგიან გადაცემას აგროვებდა . რონდო 37 შეხვედრაზე გაჩერდა, რაც ლეგენდარული **ჯონ სტოქტონის** შედეგის გამეორებაა, მაგრამ რაჟონს ბევრი დააკლდა აბსოლუტურ რეკორდამდე, რომელიც კიდევ ერთ ლეგენდას **მეჯიქ ჯონსონს** ეკუთვნის (46 მატჩი).

„ბრუკლინთან“ მატჩის დიდი შესვენებისთვის, „სელტიქსის“ მე-9 ნომრის ანგარიშზე მხოლოდ სამი შედეგიანი პასი იყო. ძნელი სათქმელია, გრძნობდა თუ არა ამ სერიის შეწყვეტას რონდო, მაგრამ ფაქტია, რომ ის ნერვებს ვერ გაუმკლავდა. რონდო ადრეც ხშირად გამოდიოდა წყობიდან, მაგალითად, **კობი ბრაიანტზე, მეტა უორლდ პისზე**, მსაჯებზე... ამჯერად კი მოწინააღმდეგის სახის „გალამაზება“ გადაწყვიტა, თანაც მსხვერპლად აირჩია კალათბურთელი, რომელსაც აშკარად ჩამოუვარდებოდა წონითი კატეგორიის მიხედვით - **კრის ჰემფრიზი**.

„ნეტსის“ ფორვარდმა უხეშად ითამაშა **კევინ გარნეტის** წინააღმდეგ - მას სახეში მოარტყა ხელი და ვერც იფიქრებდა, რომ ასეთ უსიამოვნებაში გაეხვეოდა. სანამ რონდო ჰემფრიზს ებრძოდა, გააქტიურდა **ჯერალდ უოლასი**, რომელმაც არა რონდოს, არამედ გარნეტს შეუტია. უოლასს არ მოეწონა ის, თუ როგორ გააფორმა კევინმა ეს ჯარიმა, კერძოდ კი, ჰემფრიზის პერსონალურის შემდეგ, ტრიბუნების პირველ რიგში დაეცა. ჩხუბის საბოლოო შედეგია - რონდოს, უოლასისა და ჰემფრიზის გაძევება, ბევრი ნაიარევი, კმაყოფილი პუბლიკა და ფულადი ჯარიმებისა და ხანგრძლივი დისკვალიფიკაციების პერსპექტივა. რაც შეეხება „ბოსტონს“, მან ისევ წააგო.

ბოსტონი-ბრუკლინი 83:95

20:28, 18:23, 17:19, 28:25

ბოს: გარნეტი (16+10 მოხსნა), ბასი (16), პირსი (14+9 მოხსნა+7 პასი), ტერი (13).

ბრუკ: ჯონსონი (18+6 პასი), ბლეტჩი (17+13 მოხსნა), სტეკჰაუსი (17+3 ჩაჭრა), უოტსონი (13), ლოპესი (9+10 მოხსნა), ევანსი (5+10 მოხსნა).



ჩხუბის მომენტი

ვაშინგტონმა პირველი მოიგო

რეგულარულიჩემპიონატის ცხრილში არც ერთი ნული აღარ დარჩა. „ვაშინგტონმა“ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა. დედაქალაქელებმა კარგად გამოიყენეს „პორტლენდზე“ თავიანთი მთავარი უპირატესობა: სათადარიგოთა სკამი, რომელიც „ბლეიზერსს“ საერთოდ არ აქვს. შედარებისთვის: „ვაშინგტონის“ რეზერვისტებმა ჯამში 102 წუთი გაატარეს მოედანზე და 46 ქულა დააგროვეს, „პორტლენდის“ სათადარიგოების ანალოგიური მაჩვენებელი იყო - 43 წუთი და 4 (!) ქულა.

ამის წყალობით, დედაქალაქელები 15 ქულით დაწინაურდნენ (აქამდე „უიზარდს“ არც ერთ წინა მატჩში არ ჰქონია ასეთი უპირატესობა), მაგრამ „ვაშინგტონი“ „ვაშინგტონი“ არ იქნებოდა, საკუთარი თავისთვის საქმე რომ არ გაერთულებინა. **რენდი უიტმანის** შეგირდების ანგარიშზეა თითქმის შვიდწუთიანი „მშრალი“ სერია, თანაც ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში - მეოთხე მეოთხედში. როცა „უიზარდსმა“ ეს სერია ზუსტი ტყორცნით შეწყვიტა, მისი უპირატესობისგან არაფერი იყო დარჩენილი და უკვე მდევრის როლში იყო. მასპინძლებს **ოკაფორის** ზუსტმა ჯარიმებმა და „პორტლენდის“ ზედიზედ სამმა წარუმატებელმა შეტევამ უშველა.

■ ■ ■

„სან ანტონიო“ კვლავინდებურად **ლეონარდისა** და **ჯექსონის** გარეშე თამაშობს, მაგრამ არ გასჭირვებია ზედიზედ მეხუთე მატჩის მოგება. „ორლანდო“ ვერ გადაარჩინა ფარქვეშ მოგებულმა ბრძოლამ და გიგანტურმა უპირატესობამ მეტოქის ფარზე (18:8 „მეჯიქის“ სასარგებლოდ). „სპურსის“ შემადგენლობაში დიდი წარმატებით ითამაშა **მანუ ჯინობილიმ**. მან ცხრიდან ექვსი ტყორცნა გამოიყენა და აღსანიშნავია, რომ ყველა შორიდან ჩააგდო. არგენტინელს ერთხელაც არ უსვრია პერიმეტრის შიგნიდან.

■ ■ ■

„ნიუ იორკმა“ „მილუოკის“ იმდენად იოლად მოუგო, რომ მეოთხე მეოთხედში **კარმელო ენტონის** გამოყენებაც არ დასჭირვებია. ამის ერთ-ერთი მიზეზი „რეზერვისტი“ **ნოვაკია**, რომელმაც შვიდიდან ხუთი სამქულიანი გამოიყენა და 19 ქულა დააგროვა, რაც მისი საუკეთესო გამოსვლაა მიმდინარე სეზონში. „მილუოკიში“ კი სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო: **უდრიხის** გარდა, „ბაქსიდან“ ვერც ერთმა ვერ აიტაცა **ელისისა** და **ჯენინგსის** მონდომება.

■ ■ ■

საინტერესო მატჩი გაიმართა ოკლაჰომაში, სადაც სათამაშოდ „ჰიუსტონი“ ჩავიდა. პირველად თამაშობდა თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ „რაკეტების“ მცველი **ჯეიმს ჰარდენი**. ამ შეხვედრამ კარგად დაგვანახვა, რომ ჰარდენის ძველი და ახალი გუნდები სხვადასხვა წონით კატეგორიაში არიან.

„თანდერმა“ თითქოს კიდევ ერთხელ მიანიშნა თავის გულშემატკივრებს, რომ არ ნანობს ამ მცველის გაშვებას - „ჰიუსტონის“ ვიზიტი ამ გუნდის განადგურებით დასრულდა - 98:120. თავად ჰარდენმა 17 ქულა დააგროვა, მაგრამ თამაშიდან მხოლოდ სამი ბურთი ჩააგდო 16 ცდიდან, თანაც საწყისი ცხრა ტყორცნა ააცილა, ხოლო, როცა პირველი ბურთი მოათავსა კალათში, „ჰიუსტონი“ უკვე უიმედოდ აგებდა.

საერთო ჯამში, რთული იყო „როკეტსისგან“ ამ მატჩში გამარჯვების მოლოდინი კალათბურთელების ფიზიკური და მორალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ტექსასური კლუბი ოკლაჰომაში მინესოტადან ჩავიდა, სადაც სრული შემადგენლობით დაესწრო გუნდის მთავარი მწვრთნელის **კევინ მაკჰეილის** ქალიშვილის, 23 წლის **საშას** დაკრძალვას.

■ ■ ■

გუშინვე შედგა ვეტერანი **ჩონსი ბილაპსის** დაბრუნება, რამაც „კლიპერსის“ მწვრთნელი **დელ ნეგრო** ისე გაახარა, რომ მცველი სასტარტოში შეიყვანა და 20 წუთი სათამაშო დრო მისცა. „მინესოტაში“ კი თამაში ჩააგდო **კევინ ლავმა**, რომელმაც 12-დან მხოლოდ სამი ბურთი მოათავსა კალათში, ბოლოსკენ კი მნიშვნელოვანი სამქულიანი ააცილა მიზანს. მაგრამ გადამწყვეტი დაკარგვა არა მას, არამედ **რიდნურს** ეკუთვნის, რომელიც ფარქვეშ შევიდა და ბურთი პასის მომენტში დაკარგა. ამას მოჰყვა „კლიპერსის“ კონტრშეტევა და საფინალო სირენამდე წუთით ადრე კალიფორნიელები 5 ქულით გავიდნენ წინ.

ვაშინგტონი-პორტლენდი 84:82

23:27, 20:16, 25:16, 16:23

ვ: ჯორ. კროუფორდი (19), არიზა (14+5 მოხსნა), სერაფინი (10+10 მოხსნა).

პ: ლილარდი (20+5 პასი), ბატუმი (20+3 ჩაჭრა), ოლდრიჯი (17+7 მოხსნა), ჰიქსონი (15+19 მოხსნა).

ორლანდო-სან ანტონიო 89:110

18:29, 23:26, 23:26, 25:29

ო: აფლალო (16+5 მოხსნა), ნელსონი (14+5 მოხსნა), დევისი (12+5 მოხსნა), მური (11).

ს-ა: ჯინობილი (20+5 პასი), ნილი (19+3 ჩაჭრა), დანკანი (15+5 დაფარება), პარკერი (14+8 პასი), ბლეირი (11+6 მოხსნა).

აზლანტა-შარლოტი 94:91

20:18, 23:27, 28:20, 23:26

ა: სმიტი (17+13 მოხსნა+6 პასი+5 დაფარება), ჰორფორდი (17+11 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), უილიამსი (17+5 პასი), ტიგი (11+5 პასი).

შ: გორდონი (26), სეშენსი (18+8 პასი), უოკერი (15+5 მოხსნა+5 პასი), მალენსი (10+9 მოხსნა), ჰეიგუდი (4+11 მოხსნა).

დეტროიტი-ფინიქსი 117:77

24:24, 31:20, 26:16, 36:17

დ: ნაითი (19+6 პასი), ვილანუევა (19+6 მოხსნა), სტაკი (18+5 მოხსნა), პრინსი (12), სინგლერი (12).

ფ: სკოლა (11+6 მოხსნა), მორისი (10), დრაგიჩი (10).

ჩიკაგო-დალასი 101:78

24:23, 34:19, 19:16, 24:20

ჩ: დენგი (22+6 მოხსნა), რობინსონი (14+6 პასი), ნოა (13+10 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ბატლერი (13), ბელინელი (11).

დ: მერეონი (18), ჯონსი (10+5 პასი), კამანი (10), კარტერი (10).

მილუოკი-ნიუ იორკი 88:102

26:23, 22:35, 22:30, 18:14

მ: ჯენინგსი (18+5 პასი), უდრიხი (18), ელისი (17+7 პასი+3 ჩაჭრა), დენიელსი (11+4 ჩაჭრა).

ნ-ი: ენტონი (29+8 მოხსნა), ნოვაკი (19), ჩენდლერი (17+8 მოხსნა), ფელტონი (12+7 პასი+4 ჩაჭრა), პრიჯიონი (11+7 პასი).

მემფისი-ჰორნეტი 103:82

24:27, 24:20, 33:14, 22:21

მ: სპეიტსი (18+12 მოხსნა), რენდოლფი (17+13 მოხსნა+6 პასი), გასოლი (17+5 მოხსნა), კონლი (16+5 პასი), გეი (14+6 მოხსნა).

ტ: დეროზანი (16), ლოური (12), კალდერონი (12), კლეიზა (11), დევისი (10+6 მოხსნა).

ნიუ ორლეანი-იუტა 84:96

20:20, 19:21, 17:31, 28:24

ნ-ო: ვასკესი (18+8 პასი), ლოპესი (18+7 მოხსნა), რობერტსი (11).

ი: ჯეფერსონი (19+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), მილსეპი (16+8 მოხსნა), მარვ. უილიამსი (16), გ. ჰეივორდი (15).

ოკლაჰომა-პიუსტონი 120:98

27:25, 30:20, 29:29, 34:24

ო: დურანტი (37+7 მოხსნა), იბაკა (23+9 მოხსნა+6 დაფარება), მარტინი (17), უესტბრუკი (14+9 პასი+3 ჩაჭრა).

ჰ: პატერსონი (27), კუკი (18+7 მოხსნა), აშიქი (17+12 მოხსნა), ჰარდენი (17).

კლიპერსი-მინესოტა 101:95

23:28, 34:27, 19:22, 25:18

კ: პოლი (23+11 პასი+3 ჩაჭრა), გრიფინი (18+6 მოხსნა), ჯორდანი (14+6 მოხსნა), ბარნსი (13+6 მოხსნა), კროუფორდი (11).

მ: ლავი (19+12 მოხსნა), შვედი (17), რიდნური (13+7 პასი), პეკოვიჩი (11+10 მოხსნა), ლი (10+7 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ევროვნული ბასკეტბოლი

ფეხბურთი

ესპანეთის თასი

1/16 ფინალი. II მატჩები

სელტა-ალვერია	3:0 (0:2)
გრანადა-სარაგოსა	2:1 (0:1)
მალიორკა-დეპორტივო	0:0 (1:1)

გერმანია

II ბუნდესლიგა

ჰერტა-კიოლნი	1:1

საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

რენი-ტრუა	2:1

ბელგიის თასი

1/8 ფინალი

გენკი-სტანდარდი	1:0

დანიის თასი

1/4 ფინალი

რანდერსი-მიდტიულანდი	2:1

საბერძნეთის თასი

1/16 ფინალი

ტირნავოსი-კერკირა	0:2
პანთრაკიკოსი-ნიკი ვოლუ	4:0
პანათინაიკოსი-პრუდეფტიკი	2:0
იანინა-პანსერაიკოსი	1:0

თურქეთის თასი

1/16 ფინალი

ბუგსა-ესკისეჰირი	0:4
გენჩლერი-ბანდირმა	5:1
შივასი-მანიშა	3:0
ტრაბზონი-სანლიურფა	4:0

ჩეხეთის თასი

1/8 ფინალი. I მატჩები

იულავა-სპარტა	1:1
ჭრადეცი-ვლზენი	2:1

რუმინეთის თასი

1/4 ფინალი

რაპიდი-ასტრა	2:2 დ.დ. 2:3

ბელარუსი

პლეი ოფი

გოროდეია-ტორპედო	1:0
ჯეჯუ-სუვონი	2:1
პოჰანგი-სეული	5:0
ბუსანი-ულსანი	0:1
გეონამი-ჟეონგუკი	2:1

კალათბურთი

ევროლიგა

ხიმკი-კანტუ	77:53
ცედევიტა-ეფესი	73:81
ალბა-პროკომი	67:64
პანათინაიკოსი-ოლიმპია	80:72
მაკაბი-შალონი	78:73
კახა ლაბორალი-მილანი	64:62
ბამბერგი-ცსკა	89:97
პარტიზანი-ლეტუვოს რიტასი	75:74

ხელბურთი

ჩემპიონთა ლიგა

კონსტანცა-სავეჰოფი	28:23
ჰამბურგი-ადემარი	32:26
პარტიზანი-ჩეხ. მედვედი	27:31

პოკერი

კალ

დინამო (რ)-დინამო (მ)	1:3

ნორვეგია

ლილეჰამერი-სტავანგერი	2:4
რუსენბორგი-ფრისკ ასკერი	1:6
სტორჰამარი-სტრიერნენი	3:4 (ბ)
ტონსბერგი-სპარტა	1:4
ლორენსკოგი-ვოლერენგა	1:3

ფინეთი

ბლუზი-პელიკანსი	3:1
იოკერიტი-ტაპარა	3:2 (ო)
ლუკო-კერპეტი	2:4
ჰპკ-ესეტი	1:2 (ო)

ჩეხეთი

კლადნო-კარლოვი ვარი	3:0

შვეიცარია

ბრიუნესი-ვეძსიო	4:2
ლიენჩოპინგი-ლულეო	0:3
მოდო-ტიმრა	2:0
როგლე-ფერიესტადი	1:7
ფრიოლუნდა-ფელეფტეო	3:1
ჰ371-აიკ	3:2 (ბ)

● TV პროგრამა

30 ნოემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტური. უიგანი-მანჩესტერ სიტი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ჰამბურგი-შალკე.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ეინდჰოვენი-ვიტესი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
23:00 ტელეეურნალი – FOOTBALL MUNDIAL
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ფორტუნა-აინტრახტი (LIVE).
01:30 ყოველკვირეული ტელეეურნალი - FOOTBRAZIL.

GMG-სპორტი 1

10:00 NBA ACTION.
11:00 ძიუდო. გრანდსლემი. ტოკიო. იაპონია (LIVE).
13:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.
16:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
18:00 კალათბურთი. NBA. 1984-85 წლები. ფინალი. ბოსტონი-ლეიკერსი. II მატჩი.
20:00 ყოველკვირეული ტელეეურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:00 NBA ACTION.
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VIII ტური. ჟალგირისი-ოლი-მპიაკოსი (LIVE).
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-სან ანტონიო.

GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
12:40 სპორტ-NEWS.
13:10 ჩოგბურთი. დევისის თასი. მიმოხილვა.
14:10 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბარსელონა-ჰიკ სეგედი.
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
16:30 სპორტ-NEWS.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ვიდეოტონი-გენკი.
19:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:15 რაგბი. ჰეინეკენის თასი. სარაცენსი-რასინგი.
22:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	3	15	(მზე)
ქუთაისი	9	21	(მზე)
ბათუმი	7	20	(მზე)
ფოთი	8	21	(მზე)
ზუგდიდი	6	20	(მზე)
გორი	-5	16	(მზე)
თელავი	2	14	(მზე)
სიღნაღი	4	12	(მზე)
ბაკურიანი	-3	13	(მზე)
ბორჯომი	-3	15	(მზე)
მესტია	-3	14	(მზე)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1516
1 ამერიკული დოლარი	1.6565
1 ბრიტანული ფუნტი	2.6526
100 რუსული რუბლი	5.3338

● ჰოკეი

მილიარდიანი ბორონგო

პოპულარულმაჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბების ღირებულებათა რეიტინგი. ყველაზე ძვირად ღირებული კლუბი გახდა „ტორონტო მეიპლ ლიფი“, რომლის ფასმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სიაში მეორეა „ნიუ იორკ რეინჯერსი“ (750 მილიონი), მესამე - „მონრეალი“ (575 მილიონი).

სტენლის თასის მოქმედი მფლობელი „ლოს ანჯელეს კინგზი“ 276 მილიონ დოლარად არის შეფასებული და ამ მაჩვენებლით ის მე-10 ადგილს იკავებს.

ბოლო ორ ადგილზეა „ფინიქსი“ და „სენტ ლუისი“, რომლებიც, შესაბამისად, 134 და 130 მილიონ დოლარად არიან შეფასებულნი. სულ NHL-ის კლუბების საერთო ღირებულება 3.4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაკა არა, ბოლე!

- მოცე (მისალმებაა ფიჯის ენაზე) მეგობარო, პირდაპირ ეთერში ვნახე საქართველოსა და ფიჯის შორის სარაგბო მატჩი და მინდა გითხრა, რომ მოგებას თქვენ იმსახურებდით, - მომწერა „ფეისბუკზე“ ფიჯელმა მეგობარმა ჯიმ ნაივალულევუმ. ცხადია, ძმობა ძველი ტრადიციების მიხედვით არ შეგვიფიცავს, მაგრამ ჯიმი (სუვას უნივერსიტეტში ინგლისურის პედაგოგია) ფიჯის ამბებსაც ხშირად მიყვება და ქართულსაც კითხულობს.

ოღონდ, დრო დასჭირდა ჩემი სადაურობის გასაცნობად. რომ შეიტყო, „ჯორჯიიდან“ ვიყავი, გაუხარდა, ჩემსავით კუნძულელი ყოფილხარო. ინტერნეტში მაშინვე მოვიძიე კუნძული ჯორჯია და ყინულებით შემოსილი, არგენტინასა და ანტარქტიდას შორის ვიპოვე. ჯიმს ავუხსენი, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, რუსეთის ქვემოთ ვცხოვრობდი და მაშინვე მომწერა:

- გამახსენდა, თქვენსა და რუსეთს შორის ომი რომ იყო. სხვათა შორის, ჩვენს მიმართაც არ არიან დიდი სახელმწიფოები კეთილგანწყობილნი - ფიჯელებს ავსტრალია და ახალი ზელანდია ვიზებს არ გვაძლევენ. სპორტშიც ვიჩაგრებით: ჩვენს მორაგბეებს ზელანდიასთან, ავსტრალიასთან, სამხრეთ აფრიკასთან და არგენტინასთან ერთ ლიგაში თამაში სურთ, მაგრამ ამის უფლებას არ გვაძლევენ, - შენიშნა ფიჯელმა და ქართველთა ბედით დაინტერესდა:

- საქართველოს ნაკრებმა ფიჯისთან იმდენად კარგად ითამაშა, რომ ნამდვილად საინტერესო იქნებოდა მისი ხილვა ევროპის ექვს ერს შორის. მაგრამ, ალბათ, თქვენც გ ზღუდავენ...

„სმაილიკის“ დახმარებით თავი დავუკარი და ჯიმს ჰაკაზე ვკითხე.

- ჰაკა ზელანდიელებს აქვთ. ჩვენს საბრძოლო ცეკვას ბოლე ჰქვია, რაც ფიჯურად გამონვევას ნიშნავს. სხვათა შორის, დიდი ხანი არ არის, რაც ბოლემ შეცვალა ციბი, რომელიც ბრძოლის შემდეგ, გამარჯვების აღსანიშნავად სრულდებოდა. სპორტში ასეთი რიტუალის გადმოღება საბრძოლო განწყობას ამაღლებს. რაგბიც ხომ ბრძოლის ნაირსახეობაა.

როგორც ჯიმი ამტკიცებს, ძველად ფიჯილები ბოლომდე იბრძოდნენ, ვიდრე მეტოქეს მთლიანად არ გაანადგურებდნენ. მიკრონეზიულ ტომებს კი სხვა ტრადიცია ჰქონდათ: ერთმანეთს მედგრად ერკინებოდნენ და როცა ერთი ადამიანი დაიჭრებოდა, ბრძოლა წყდებოდა, დამჭრელი გამარჯვებულად ცხადდებოდა და ტერიტორია მის მფლობელობაში გადადიოდა.

რაგბის დავუბრუნდეთ: ფიჯისა და იაპონიასთან მატჩებს რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ და საქართველო პირველი რანგის გუნდებში გადაიყვანეს. ასე რომ, ქართველები მსოფლიოს 17 საუკეთესო ნაკრებს შორის არიან და ტესტ-მატჩების დაგეგმვისას ჩვენს გუნდს ელიტარული გუნდები ერგება. შეიძლება ეს იყოს, როგორც ფიჯი, ავსტრალია, საფრანგეთი და ა.შ...

ბოლო დროს საქართველოში რაგბიმ ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ კალათბურთელებიც თამაშობენ. დააკვირდით: მეტოქეს რომ ბოჭავს, გიორგი ცინცაძეა, ხოლო მარჯვნივ - ვიქტორ სანიკიძე.

ფიჯელი მეგობარი

ფოტოპარალელი

დღევანდელ ტაიმლაინში დედამიწის გარშემო ვიმოგზაურეთ, ვახსენეთ ანტარქტიდასთან მდებარე კუნძული ჯორჯია, ფიჯი, მიკრონეზია... ვინ მოთვლის კიდევ რამდენი კუნძული აბურთავა ლეო მესიმ - ორიოდე დღის წინ გამოქვეყნებულ ფოტოზე არგენტინელი ფეხბურთელი ბურთის ნაცვლად გლობუსს კენწლის. მესის შემყურეთ უთუოდ გაგახსენდებოდათ ჩარლზ ჩაპლინი ჰიტლერის როლში...

● ქართველები NBA-ში

ზაზას ექვსი და ატლანტას მეექვსე

„ატლანტა ჰოქსი“ აღარ ხუმრობს - ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო. ამჯერად ჯორჯიელებმა თანადივიზიონელ „შარლოტს“ აჯობეს - 94:91.

ანგარიშიც ცხადყოფს, რომ მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მწვრთნელმა **ლარი დრიუმ ზაზა ფაჩულია** განსაკუთრებით მეოთხე პერიოდში დატვირთა. ქართველმა ცენტრმა 6-6 ქულა-მოხსნიდან 5-5 სწორედ გადამწყვეტ მეოთხედში მოაგროვა.

ზაზას 2+1-ის, **უილიამსისა** და **ჰორფორდის** ორქულიანების შედეგად მასპინძლებმა 6:0 გაქცევა მოაწყვეს და 81:70 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ შარლოტელებმა ბევრი იწვალეს, მაგრამ ატლანტელებს მაინც ვერ დაეწიენენ.

„ჰოქსი“ მომდევნო შეხვედრას შინ „კლივლენდთან“ 30 ნოემბერს გამართავს.

ატლანტა-შარლოტი 94:91

ზაზა ფაჩულია: 21 წუთი, 6 ქულა (7-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 შეცდომა, 2 ფოლი.

I პერიოდი		
2:53	11-15	ჰორფორდი შეცვალა
II პერიოდი		
11:37	18-20	ფოლი: 1
7:28	26-33	შეცდომა: 1
7:03	29-33	ორქულიანი: არაზუსტი
6:50	29-33	სმიტმა შეცვალა
III პერიოდი		
3:39	56-62	ჰორფორდი შეცვალა
2:41	58-62	მოხსნა: შეტ-1, დაც-0
0:51	64-70	ფოლი: 2
0:14	65-71	საჯარიმოები: 2/1 (1ძ)
IV პერიოდი		
11:21	68-71	ორქულიანი: არაზუსტი
11:19	68-71	მოხსნა: შეტ-2, დაც-0
11:18	68-71	ორქულიანი: არაზუსტი
11:11	68-71	მოხსნა: შეტ-2, დაც-1
10:11	70-74	მოხსნა: შეტ-3, დაც-1
10:10	70-74	ორქულიანი: არაზუსტი
9:56	70-74	მოხსნა: შეტ-4, დაც-1
9:55	70-76	ორქულიანი: 3ძ
9:55	70-77	საჯარიმო: 1/1 (4ძ)
7:20	76-84	მოხსნა: შეტ-4, დაც-2
5:35	79-88	ორქულიანი: 6ძ
3:29	81-88	ორქულიანი: არაზუსტი
2:43	83-90	სტივენსონმა შეცვალა

ბრუკლინელებმა ბოსტონში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. შეხვედრა დიდი ჩხუბის გამო საზოგადებას დიდი ხნით დაამახსოვრდება. ინციდენტის შემდეგ ბოსტონელი **რონდო** და ბრუკლინელი **ჰამპრისი** გააძევეს. უფრო ვრცლად ამ მატჩის შესახებ მეთხუტმეტე გვერდზე წაიკითხავთ.

შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია „ბრუკლინის“ ქართველ თავდამსხმელ **თორნიკე შენგელიას**. მას მარცხენა ხელის ცერი აქვს ნატკენი, თუმცა ტრავმა სერიოზული არ არის და იმედი დავიტოვოთ, რომ თოკო მალე დაუბრუნდება „ბრუკლინის“ შემადგენლობას.

ამასობაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გუნდის ხელმძღვანელობა შენგელიას განვითარების ლიგაში გადაყვანას უპირებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● ევროლიგა

მანუს ბომბები

« პირველი გვერდიდან

*მატჩის შემდეგ "კანტუს" თავკაცმა **ანდრეა ტრინკიერიმ** პრესკონფერენციაზე მარკოიშვილი იახლა. აი, რა თქვა ქართველმა უკანახაზელმა:*

- რთული მატჩი იყო. "ხიმკი" მონოდების სიმაღლეზე გახლდათ როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. მეტოქემ გვაჯობა და გამარჯვება დაიმსახურა. სამი ტრავმირებული გვყავს და მათი არყოფნა ძირითადად მეორე და მესამე პერიოდებში დაგვეტყო. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, ვიტყვი მეტოქეზე, კრასიმირ ლონჩარზე, რომელთანაც იტალიურ "ბენეტონში" ვთამაშობდი. მან მართლაც კარგად ითამაშა. "კანტუს" კი ევროლიგაზე ორი მატჩი დარჩა და ვეცდებით შესაძლებლობები სათანადოდ გამოვავლინოთ.

■ ■ ■

გიორგი შერმადინის "მაქაბიმ" ფრანგულ "შალონს" უმასპინძლა და ბოლო წამებზე 78:73 დაამარცხა. ქართველმა ცენტრმა 5:50 წუთი ითამაშა და დრო უქმად არ დაუკარგავს: 4 ქულა (3-დან 2 ორქულიანი), 2 მოხსნა მიითვალა.



ISSN 2233-3827

9 772233 382000

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608